# სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | პარასკევი, 22 დეკემბერი 1995 № 85 (223) | ფასი 30 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუსულ გაზეთში რაც მოშაწერეს, იმის თქმას გადადგომა სჯობია...

FRANCE 98



ალექსანდრე ჩივაძის პრეს-კონფერენცია ზუსტად თორმეტ საათზე დაიწყო. თავისთავად ეს აღსანიშნავი ამბავი სულაც არ უნდა იყოს, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ ამდენმა ქართველმა (ოცდახუთი ჟურნალისტი და ნაკრების მთავარი მწვრთნელი) რაღაცის ზუსტად და ორგანიზებულად დაწყებას თავი მოაბა, იქვე მიიპყრო ყურადღება. თავად ჩივაძემ აღნიშნა, კარგი იქნება, ყველანი, ყველა საქმეში ასე თუ მოვიქცევითო. მაშ ასე, მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი ქართველებმა მოწესრიგებული პრეს-კონფერენციით დავიწყეთ. ნეტავ, ეს კარგის ნიშანი იყოს. ეს ნახევრად ხუმრობით – ახლა სერიოზულად: ჩვენი ნაკრები მიზნად შესარჩევ ჯგუფში წარმატებას და ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას ისახავს. პარიზიდან დაბრუნების მეორე დღეს „სარბიელისთვის" ნათქვამი ბატონმა ალექსანდრემ იმ დღეს კიდევ ერთხელ გაიმეორა და დაადასტურა. ამგვარად, უცხოურ პრესაში, სახელდობრ, რუსულ „სპორტ ეკსპრესში" დაბეჭდილი მისი ინტერვიუ, სადაც ჩივაძე ამბობს, ჯგუფში გამარჯვების შანსი საერთოდ არა გვაქვს და ამ შესარჩევ ტურნირსაც გამოცდილების შესაძენად გამოვიყენებთო, გაბათილდა. ნაკრების მწვრთნელმა განაცხადა, არც პარიზში და არც თბილისში დაბრუნების მერე, იტალიური „გაძეტა დელო სპორტისა" და „სარბიელის" გარდა, არ მისაუბრია ვინმე ჟურნალისტთან და მოსკოვის გაზეთმა ჩემი ეგ ვითომდა ნათქვამი საიდან მოიტანა, გაუგებარიაო. შემდეგ მან შეაჯამა 1993 წლიდან ანუ ნაკრების ახლანდელი ხელმძღვანელობის დანიშვნის დღიდან მათი ნაშრომ-ნაღვაწი. გაიხსენა ყველა საწვრთნელი შეკრება, ამხანაგური თუ ოფიციალური შეხვედრა და საბოლოოდ, ევროპის ჩემპიონატის მესამე შესარჩევ ჯგუფში გერმანიისა და ბულგარეთის შემდეგ მესამე ადგილის დაკავება დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. მართალია, ევროპის პირველობის მატჩებამდე ნაკრების მწვრთნელებმა 35 მოთამაშე გამოსცადეს, ათ ოფიციალურ შეხვედრაში კი 29, შემდეგ ბირთვი 14 მოთამაშეს შეუდგენია. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც ხუთი და მეტი შეხვედრა ითამაშეს ევროპულ ჯგუფში. მომავალი შეჯიბრებაც, მწვრთნელის თქმით, ძირითადად ამ ფეხბურთელების ზურგზე გადაივლის. შესავლის ბოლოს ჩივაძემ ერთხელაც აღნიშნა, რომ კიდევ გამოცდილების შეძენაზე საუბარი და მიზნად გამარჯვების არდასახვა, ერთი რომ, არასერიოზული, მეორეც, უსამართლო იქნებოდა იმ ნიჭიერი ფეხბურთელების მიმართ, რომელთაც ასაკმა მომავალ პირველობამდე თამაშის საშუალება შესაძლოა არ მისცეს.

– მაგის თქმას აჯობებდა, დამეწერა განცხადება და გადავმდგარიყავი – თქვა ეროვნული ნაკრების თავკაცმა.

შემდეგ გაიმართა კითხვა-პასუხი. თავდაპირველად, ბატონ ალექსანდრეს სთხოვეს განემარტა, რას გულისხმობდა შესარჩევ ჯგუფში წარმატებაში. პასუხი ის გახლდათ, რომ წარმატება ჰქვია ან პირველ ადგილზე გასვლას, ან ისეთ მეორეზე, სხვა ჯგუფების მეორეებს რომ სჯობია, ანაც, თუ მაინცდამაინც „ცუდ" მეორეზე გავედით, გადათამაშების მოგებას. მოკლედ, მიზანი კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მკაფიოდ – საფრანგეთის საგზურის მოპოვება! კითხვაზე, თუ ვისთან აპირებს საქართველოს ნაკრები ამხანაგური შეხვედრების გამართვას, მწვრთნელმა უპასუხა, რომ კონკრეტულად, სანამ ყველა ქვეყანას თავის ოფიციალურ თამაშთა კალენდარი არ ეცოდინება, ზუსტად რაიმეს თქმა ძნელია. საუბარი იყო რუსეთთან (თავად შემოგვთავაზეს), იუგოსლავიასთან, კვიპროსთან და ისრაელთან. სირთულე ის გახლავთ, რომ ჩვენი ენერგო და სხვა კრიზისების შემხედვარე, ბევრმა შეიძლება ჩამოსვლა არც ისურვოს. სპარინგ-პარტნიორების შერჩევისას ნაკრების ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ჩვენს ოფიციალურ მეტოქეთა თამაშის ყაიდას. შესაძლოა, მეზობელ ქვეყნებსაც ვეთამაშოთ (იგულისხმება კავკასია) და ამ შეხვედრებში გამოვცადოთ მხოლოდ საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელები. რაც შეეხება ოთხთა ტურნირებს (პირველი, მეორე, ოლიმპიური და 18 წლამდე ნაკრებები), საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ადრე რომ აწყობდა, ახლა უკვე მთავარი ნაკრებისთვის არაფრისმომცემია და ჩასატარებლადაც, ორგანიზაციულ საკითხთა გამო, ძნელია. დასკვნა კი ერთი იყო – საჭიროა შეძლებისდაგვარად ბევრი ამხანაგური თამაშის მოწყობა.

ჩვენი ჯგუფის მომავალ კალენდართან დაკავშირებით, ჩივაძემ თქვა, რომ მეტოქე ნაკრებების ხელმძღვანელები ალბათ 17 იანვარს, ალბათ ვარშავაში შეიკრიბებიან და იქ მოითათბირებენ. ფიფას დადგენილი აქვს 16 სათამაშო დღე, რომელთაგან ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ რვა. არ დავთანხმდებით ევროპის ჩემპიონატამდე, ანუ გაისად შემოდგომამდე თამაშს. რაც შეეხება იმას, თუ ვისთან და სად გვსურს პირველი თამაში, სასურველია, შეჯიბრება მოგებით დავიწყოთ და აქედან გამომდინარე, თავად განსაჯეთ, რა იქნება უკეთესიო, თქვა მთავარმა მწვრთნელმა.

გუნდში ფსიქოლოგის აყვანა მან არ გამორიცხა, მაგრამ ისიც თქვა, არა მგონია, სამ-ოთხ დღეში (ნაკრების მატჩისწინა შეკრების ხანგრძლივობა) უცნობმა კაცმა რაიმე რადიკალურად შეცვალოსო. ბატონ ალექსანდრეს აზრით, თამაშზე ნაკრების ფეხბურთელი ყოველმხრივ მომზადებული უნდა ჩამოდიოდეს. ნერვიულობა ინდივიდუალურია და უცხო მისი დროის თბილისის „დინამოსთვისაც" არ იყო. მახსოვს, ზოგს მნიშვნელოვანი თამაშის წინა დღეს სიცხეც კი უწევდაო. სხვა საქმეა ტურნირი. თუ ღმერთმა ქნა და საფრანგეთის საგზური მოვიპოვეთ, ფსიქოლოგი იქ გვეყოლებაო.

ითქვა, რომ უწინდელთან შედარებით ჩვენი ნაკრების პრესტიჟმა იმატა. ჩივაძე, ადრე შვედეთში რომ იყო, მწვრთნელთა სემინარზე, იქ გაცნობილ კოლეგებს ახლა პარიზში შეხვედრია, რომელთაც საგანგებოდ აღუნიშნავთ ქართველების ღირსეული გამოსვლა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში. კითხვას, ხომ არ იმოქმედებს გოჩა ჯამარაულის კონფლიქტი „დინამოსთან" ამ მოთამაშის კარიერაზე ნაკრებში, მწვრთნელმა უარყოფითად უპასუხა. საუბარი შეეხო იმასაც, რომ ბილეთების გაყიდვით მიღებული შემოსავლის განაწილებამ ეროვნული სტადიონის ხელმძღვანელობას და ფეხბურთის ფედერაციას გარკვეული სირთულე შეუქმნა. ფედერაციის მესვეურთა თქმით, სტადიონი მათ რეალურ თანხას არ უხდის, რის გამოც შესაძლოა ნაკრების თამაშები თბილისში აღარ დანიშნონ. ამაზე ჩივაძემ უპასუხა, რომ საქართველოს ნაკრები ევროპაში ერთადერთია, ძირითადი სპონსორი რომ არ ჰყავს. ამდენად, პირველი გუნდისთვის საჭირო უზარმაზარ თანხებს მთლიანად ფედერაცია შოულობს. კარგი იქნებოდა, თუ ბილეთების გაყიდვით მიღებული ფულის კუთვნილი წილი ნაკრებს რეალურად მოხმარდებოდა.

თბილისის „დინამოს" დირექტორატის იდეა, დაიბრუნონ უცხოეთში მოთამაშე ფეხბურთელები და შექმნან ქართული სუპერკლუბი, ნაკრების მწვრთნელის თქმით, კარგი იმით იქნება, რომ ყველა მოთამაშე თვალწინ ეყოლება და ხშირი საერთაშორისო ამხანაგური მატჩების მოწყობით გუნდი უკეთ შეთამაშდება. თუმცა, ეს ჯერ-ჯერობით მხოლოდ პროექტია და განხორციელდება თუ არა, „დინამოს" დირექტორატის და ფეხბურთელების გადასაწყვეტია.

საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდების რაოდენობა, ბევრის აზრით, შესამცირებელია. ალექსანდრე ჩივაძე კი თვლის, რომ რეალურად ჩვენს ქვეყანაში დღეს სამი-ოთხი გუნდია, ტექნიკური მონაცემები და რაღაც იერი რომ აქვს. სხვებს შუა თამაშში ფორმები რომ გაუცვალევინო, განსხვავებას ვერ იგრძნობ – ერთნაირები არიან. ასეთ პირობებში რამდენიმე გუნდის გაუქმება სხვებს ამათგან წაყვანილი, უკეთესი მოთამაშეებით ვერ შეავსებს (არ არიან, რომ გადანაწილდნენ), ამ ქალაქებისა თუ რაიონების მოზარდებს კი ენთუზიაზმს მოუკლავს.

ბოლოს კი ისევ ჩვენს ჯგუფზე და თამაშებზე. საქართველოს ნაკრების დისკვალიფიცირებულ წევრებს ძველი წითელ-ყვითელი ბარათები (ბევრი მათგანი გაუმართლებლად მიიღეს – თვლის ჩივაძე) მსოფლიოს პირველობის შეხვედრებშიც გადაჰყვებათ თუ არა, 11 იანვარს უეფაში გადაწყდება.

პაპუნა კედია

# ქინქლის დედა სადღა ითამაშებს?

როგორც ჩვენმა ლონდონელმა კორესპონდენტმა დავით მჭედლიშვილმა გვაცნობა, მანჩესტერში მოულოდნელი და დიდი რეზონანსი გამოუწვევია გიორგი ქინქლაძის დედის, ქალბატონი ხათუნას ჩასვლას ამ ქალაქში. საქმე ის გახლავთ, რომ გიოს დედას მოსკოვში ინგლისის საელჩოს გამოისობით დიდ ბრიტანეთში შესასვლელი ვიზის მიღება გაუჯანჯლდა და მხოლოდ სტამბოლში ბრიტანეთის საელჩოში ჩაკითხვამ გამოიღო ნაყოფი. ეს ამბავი „სიტის" ქომაგებმა იცოდნენ და ვინაიდან თვლიდნენ, რომ უცხო გარემოში ეულად მყოფი მათი კერპისთვის აუცილებელი იყო ახლობელი ადამიანის (გიო დაოჯახებული ჯერ არ გახლავთ) გვერდით ყოფნა, ერთობ გაიხარეს, როცა ბოლოსდაბოლოს გადაილახა ბიუროკრატიული ბარიერები და ქალბატონი ხათუნა მანჩესტერში ჩავიდა. ბულვარულ პრესას თავი რომ გავანებოთ, უფრო სერიოზული „უორლდ სოკერიც" კი გამოეხმაურა ამ ფაქტს. „სიტისა" და „ნოტინგემის" მატჩის ტელეტრანსლაციის დროს კომენტატორმა, წარსულში ცნობილმა შოტლანდიელმა ფეხბურთელმა ენდი გრეიმ სამჯერ გაიმეორა – ბურთითაა ქინქლაძე, ვისაც ორი დღის წინ დედა ჩამოუვიდაო. ყველაზე საინტერესო კი ალან ბოლის ნოემბრის საუკეთესო მწვრთნელად დასახელების გამო ჩატარებულ პრეს-კონფერენციაზე მოხდა. ბოლმა თქვა – ამით ხომ გავიხარე, მაგრამ ქინქლაძესთან დედის ჩამოსვლამ არანაკლებ გამახარაო. აქ ერთი ენაკვიმატი ჟურნალისტი ამდგარა და „სიტის" მწვრთნელისთვის უკითხავს – ამ ქალბატონის ჩამოსვლაზე ისეთი ამბავია ატეხილი, ის დროა ვიკითხო, ქინქლაძის დედა რა ადგილზე ითამაშებსო.

„სიტის" ბოლო თამაშის ამბავი იხილეთ მეხუთე გვერდზე

# „დინამო" ვარჯიშშიც პირველია

საქართველოს ჩემპიონატის პირველი ჯგუფის გუნდებიდან თბილისის „დინამო" ჯერჯერობით ერთადერთია, რომელიც სამეორეწრეო სამზადისს შეუდგა. გუნდი 18 დეკემბერს შეიკრიბა და იმ დღესვე პირველადაც ივარჯიშა. მთავარი მწვრთნელის დავით ყიფიანის არყოფნაში (უკვე გაუწყეთ, რომ იგი კვიპროსს იმყოფება დავით ყიზილაშვილის საქმის გასარკვევად) გუნდს მწვრთნელები ნოდარ აკობია, ზურაბ მაისურაძე და გია გეგუჩაძე წვრთნიან. ვარჯიშებს ჯერჯერობით ინტენსიობა აკლია, მაგრამ დატვირთვებს თანდათან გაზრდიან. ამჟამად არ ვარჯიშობს უკვე გამოჯანმრთელებული გელა ინალიშვილი, რომელიც თანაგუნდელებს უახლოეს დღეებში შეუერთდება. ბაზაზეა და თავგამოდებითაც ემზადება დავით ყიზილაშვილი, რომლის „დინამოში" გადმოსვლაც თითქმის მოგვარებულია, თუ გარკვეულ ორგანიზაციულ საკითხებს არ ჩავთვლით. აქვეა გოჩა ქოქოშვილიც, რომელიც ორწლიანი მოგზაურობის შემდეგ დაბრუნდა კლუბში. შეგახსენებთ, რომ ეს ფეხბურთელი ჯერ ვლადიკავკაზის „სპარტაკში" ირიცხებოდა, მერე კი მოსკოვის „ტორპედოში" აღმოჩნდა. გოჩა სწორედ მოსკოვიდან ჩამოვიდა და სეზონის ბოლომდე „დინამოში" დარჩება.

პარალელურად დინამოელები სამედიცინო შემოწმებასაც გადიან. ზაქრო თელიას თქმით, ლევან ცქიტიშვილის გარდა ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა, თავად ლევანს კი პირველი წრის ბოლოს მიღებული ფეხის კუნთის ტრავმა არ მოუშუშებია. ექიმის აზრით, იგი ერთ კვირაში დაიწყებს სრული დატვირთვით ვარჯიშს. 7 იანვრამდე „დინამო" დიღმის ბაზაზე მოემზადება, შობა დღეს კი ანთალიას გაემგზავრება ორკვირიან შეკრებაზე.

მამუკა კვანტალიანი

## სამართლიანად დაგვსაჯეს...

16 დეკემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-ცენტრმა გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ ფედერაციამ საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ 3000 ლარით დააჯარიმა. გაგაცნობთ დადგენილებას საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დაჯარიმების შესახებ:

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დადგენილება საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ დაჯარიმების შესახებ.**

1. საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ თანამშრომლის მიერ გაზეთ „არგუმენტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ცილისმწამებელი, სფფ სახელგამტეხი მონაჭორის და როგორც თბილისის „დინამოს“, ასევე საერთოდ ქვეყნის ფეხბურთის განვითარებისთვის საზიანო მოსაზრებებისთვის გავრცელებისთვის საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამო“ დაჯარიმდეს 3000 ლარით.
2. საფეხბურთო კლუბ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა მიიღო სათანადო ზომები მსგავსი შემთხვევების აღსაკვეთად.
3. სფფ-ის იურიდიულმა სამსახურმა აღძრას სარჩელი გაზეთ „არგუმენტის“ წინააღმდეგ შეუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო.
4. სფფ-ის გენერალურმა სამდივნომ მოამზადოს წერილი საფეხბურთო კლუბების პრეზიდენტებისადმი, რათა გაითვალისწინონ მუშაობაში აღნიშნული ფაქტი და მიიღონ ზომები სფფ-ის მიმართ უსაფუძლო გამოხდომების აღსაკვეთად.

ამ დადგენილების კომენტარი ვთხოვეთ „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას:

— ამ საქმის თაობაზე უკვე ვესაუბრე ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალკაცს. დაჯარიმებას სავსებით მართებულად და შერბილებულადაც კი მივიჩნევ. ფედერაციას ეს საკითხი რომ გაემწვავებინა, შეიძლება უეფას „დინამოსთვის“ დისკვალიფიკაციაც მიესაჯა. ის, რაც ვაჟა ჟვანიამ უთხრა გაზეთ „არგუმენტის“ კორესპონდენტს, ახლოსაც არ არის სინამდვილესთან. იქ საუბარია იმ თემაზე, რომელშიც მე ყველაზე მეტად ვარ გარკვეული. „ბათუმისა“ და „სამტრედიის“ კუთვნილი თანხა ჩვენთან არანაირად არ შეიძლებოდა მოხვედრილიყო. ეს ფული უეფამ „დინამოს“ შარშანდელ გათამაშებაში მონაწილეობისთვის გადმოურიცხა, ხოლო „ბათუმი“ და „სამტრედია“ კუთვნილ თანხას წლევანდელი გათამაშების დამთავრების შემდეგ მიიღებენ.

გადავწყვიტეთ მოვიწვიოთ დირექტორატის საგანგებო სხდომა, რომელზეც ერთხელ და სამუდამოდ დავადგენთ: კლუბის არცერთ თანამშრომელს პრეზიდენტთან და დირექტორატთან შეუთანხმებლად არათუ ფინანსურ საკითხზე, არამედ პრესაში საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება არ ექნება. ეს ასეა მიღებული ნებისმიერ პროფესიულ კლუბში და მისი შეუსრულებლობის უფლებას პირადად მე არავის მივცემ.

რაც შეეხება გაზეთ „არგუმენტს“ და არა მარტო მას — ჩემი თხოვნა, სურვილი და რჩევა იქნება, რომ კლუბის ხელმძღვანელთან შეუთანხმებლად, შეუმოწმებელ ინფორმაციებს ნუ დაეყრდნობიან, თუ, რა თქმა უნდა, მათ სერიოზული პრეტენზია გააჩნიათ სპორტული საკითხების ობიექტურად გაშუქებაზე.

საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კლუბი მზად არის ჯარიმის გადასახდელად, როგორც კი შესაბამის დოკუმენტებს მიიღებს.

1992 წლის 26 ივლისს სოხუმში მივლინებით მყოფი „ცხუმის“ ლიდერმა მიხეილ ჯიშკარიანმა შინ მიმიპატიჟა, აქ უფრო მყუდროდ დავსხდებით და ხელს არავინ შეგვიშლისო. აბა, სოხუმში სტუმარს უპურმარილოდ როგორ გამოუშვებდნენ... შუა სუფრაზე, როცა ტელევიზიით ითქვა, აფხაზებმა ოფიციალურად მიიღეს კონსტიტუცია, ღერბი, ჰიმნი და დამოუკიდებელი სახელმწიფოს სხვა ატრიბუტიო, მეც და მასპინძელსაც სიცილად არ გვეყო ეს ამბავი... ომს კი თურმე ზუსტად 19 დღე გვაშორებდა...

და დაიწყო მიშა ჯიშკარიანის უბედოთა სერია. სოხუმში მიშა პატარა მიშიკოსთვის რძის საშოვნელად ტყვიების წვიმაში მიიკვლევდა გზას, მერე იყო ტყვედჩავარდნილი მშობლის და ახლობლების გამოხსნა, გერმანიაში, კიევში გატარებული სეზონები და ბოლოს — თათრეთის „კამაზი“.

ჯიშკარიანებთან ახლა უკვე თბილისში სტუმრობისას კარი ოთხი წლის მიშიკომ გამიღო, გამარჯობის ნაცვლად, ნახე, მამიკომ რა მასწავლაო, მითხრა და ბურთის ქუსლით დარტყმა დაიწყო. მამამისი კი ვერ გამომეგება, რადგან ახალნაოპერაციები გახლდათ, იწვა და მარცხენა ხელი რაღაც არაბუნებრივად ეკავა.

# ხომ არ დაგავიწყდით?



1994. ჩემპიონთა ლიგა. კიევის „დინამო“ — „პარი სენ-ჟერმენი“. მიხეილ ჯიშკარიანი და ბრაზილიელი ვალდუ

— ბოლო ტურის წინ, ვლადიკავკაზში გაფრენის წინა დღეს ვარჯიშზე გასახურებლად რაგბის ვთამაშობდით დამძიმებული სავარჯიშო ბურთით. მეკარესთან შეჯახების მერე უხერხულად დავეცი და გონება დავკარგე. როცა მომასულიერეს, მარცხენა მხრიდან ძვალი იყო გამოჩრილი. იმწამსვე საავადმყოფოში გამაქანეს, მაგრამ ნაბერეჟნიე ჩელნიში ოპერაციის გაკეთება არ მინდოდა და რაკიღა მოსკოვის „ტორპედო“ ჩელნიდან შინ ბრუნდებოდა, იმათ გამაყოლეს. ჩემდა საუბედუროდ, „ციტოში“ რემონტი იყო. რა უნდა მექნა, კიევის „დინამოს“ ექიმს მალიუტას დავურეკე და კიევში გავფრინდი. მეორე დღესვე ცნობილმა პროფესორმა ლონკომ ორსაათიანი ოპერაცია გამიკეთა, ძვალი ძვალს მიუერთა და უჟანგავი ლითონის ხრახნებით დაამაგრა...

— ასე ხრახნებიანმა უნდა ითამაშო?

— 10 იანვარს ისევ უნდა ჩავიდე კიევში და ლითონი ამოვაღებინო. კი მითხრეს, ხელს არ შეგიშლის, გქონდესო, მაგრამა შენი არ იყოს, ლითონის ხრახნებით ხომ არ ვითამაშებ...

— ესე იგი, ვარჯიშის დაწყება დაგიგვიანდება.

— „კამაზი“ 20 დეკემბერს შეიკრიბა ჩელნიში ერთი კვირის ვარჯიშის შემდეგ ჩვენი მწვრთნელი ჩეტვერიკი საახალწლო არდადეგებზე უშვებს ბიჭებს, იანვრის ათისთვის შეიკრიბებიან, ცოტას ივარჯიშებენ და მერე მოსამზადებლად მექსიკაში მიდიან. მე ალბათ იანვრის ბოლოსათვის შევუერთდები.

— „კამაზში“ როგორ მოხვდი?

— კიევის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელთან იოჟეფ საბოსთან კარგი ურთიერთობა არ მქონდა. „ბორისფენის“, პირველი ლიგის ლიდერის მწვრთნელმა ფომენკომ მითხრა, იგივე პირობებს შეგიქმნით და ჩემთან ითამაშე, უმაღლესში გადასვლაში დამეხმარეო. დავთანხმდი. სეზონი იქ ჩავათავე, მაგრამ პირველ ლიგაში თამაში უინტერესო იყო, არც გოლები დამითვლია. მერე „ბორისფენის“ პრეზიდენტმა ხელფასები და პრემიები რომ არ გადაგვიხადა, მე და სომეხმა ერვანდ სუკიასიანმა დემონსტრაციულად დავტოვეთ კლუბი. ერვანდმა „ტიროლს“ მიაშურა, მე კი შინ გამოვემგზავრე. ერთხელაც სახლში ტელეფონმა დარეკა, „კამაზში“ არ წამოხვალო, მკითხეს. არსად არ წამოვალ-მეთქი და ყურმილი დავუკიდე. მერე კი მაინც გავემგზავრე თათრეთს. ჩეტვერიკმა ჩასვლის მეორე დღესვე „ურალმაშთან“ ძირითადში მათამაშა, „კამაზს“ თვეზე მეტი იყო, არ გაემარჯვა, მეთორმეტე ადგილზე იყო. ორი საგოლე პასი მივეცი და მეოცე წუთზე 3:0 ვიგებდით. მერე კიდევ ერთი გავიტანეთ. ორი თვის უვარჯიშებელი კინაღამ მოვკვდი, დავიწყე ხვეწნა, გამომცვალეთ-მეთქი. გაგონებაც არ უნდოდა. თხუთმეტი წუთი რჩებოდა, რომ გამომცვალა და მითხრა, აღარსად გაგიშვებო.

— სულ რამდენი ითამაშე რუსეთის ჩემპიონატში?

— რვა მატჩი ვითამაშე და ორი გოლი გავიტანე.

— ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია რაზე მოგცეს?

— ამ ჩემი აჩირებული ხასიათის გამო. კამიშინის „ტექსტილშჩიკის“ მცველმა სიცოცხლე გამიმწარა, ადგილი არ დამიტოვა ფეხებზე დაურტყმელი. მეოთხმოცე წუთი იყო, 2:0 ვიგებდით, წამაქცია და ზედ ბარძაყზე რკინის ქაცვებით შემადგა. კინაღამ გავგიჟდი ტკივილისაგან. მსაჯმა ჯარიმა დააფიქსირა და ცენტრისაკენ წავიდა. ვისარგებლე იმით, რომ არ გვიყურებდნენ და ჩემს მწყენინებელს კეფაში კარგად წავუთაქე. მაგრამ ლაინსმენმა „დამწვა“ და არბიტრთან „ჩამიშვა“. კომისარმა თქვა, ორმატჩიან დისკვალიფიკაციას მივცემო, მაგრამ, მოსკოვში მეტოქის შეურაცხყოფისთვის ხუთი თამაში გამომატოვებინეს. ვლადიკავკაზის წინ კი ეს ტრავმა შემემთხვა. მოკლედ, ჩემი უბედობა რუსეთშიც გამომყვა.

— თათარსტანის პრეზიდენტის, შაიმიევის თასზე თუ ითამაშე?

— ორივე მატჩი, იორდანიის ნაკრებს 3:0 მოვუგეთ, ფინალში კი მინსკის „დინამოსთან“ გაბრექილები გამოვედით და... 1:3 წავაგეთ.

— იორდანელთა ხსენებაზე. ორი იორდანელი ლეგიონერი რამ აგაყვანინათ?

— ჩვენმა მწვრთნელმა ჩეტვერიკმა დაიჟინა. თავდამსხმელ ალ-შადრანს არა უშავს, აი, მცველი ალ-შებათი კი ნაღდად ტყუილად აყივანეს?

— რა ქალაქია ნაბერეჟნიე ჩელნი და რა გუნდია „კამაზი“?

— ჩელნი მილიონიანი ქალაქია, სუფთა და მყუდრო. გარეუბანში მსოფლიოში სახელგანთქმული „კამაზის“ ქარხანაა. მასვე ეკუთვნის გუნდიც. წელს მოსკოვისა და ვლადიკავკაზს „სპარტაკებს“, მოსკოვის „დინამოს“ პირველი დამარცხება სწორედ ჩვენ ვაგემეთ. სახლში დაგროვებული ქულებით რუსეთის ჩემპიონატში პირველ-მეორე ადგილებს ვიყოფთ, გასვლაზეც ამ ადგილებზე ვართ, ოღონდ ბოლოდან. წელს მეცხრე ადგილზე გავედით, შარშან — მეექვსეზე. წელს მერვე გუნდმა „ურალმაშმა“ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობა გაინაღდა, შარშან მეხუთემ — ვლადიკავკაზმა — უეფაზე. ორივეჯერ თითო ნაბიჯი დაგვაკლდა, მოკლედ, ჩემი უიღბლობის შესაფერისი კლუბი ვიპოვნე...

— თათრები ფეხბურთის დიდი გულშემატკივრები ყოფილან...

— სტადიონი „გურიასავით“ კოხტა, წმინდა საფეხბურთო გვაქვს. 20 ათასი კაცი ეტევა. ყოველ თამაშზე გაჭედილია, ალბათ ამიტომაც უჭირთ აქ თამაში სტუმართა გუნდებს. ახლა არემონტებენ, 30-35 ათასს დაიტევსო. მინდორი ხომ ხალიჩასავითაა...

— თქვენს მწვრთნელს ჩეტვერიკს არაერთხელ შეუქიხარ პრესაში...

— ჩეტვერიკი გუნდის მთავარი მწვრთნელიცაა და პრეზიდენტიც. ცხონებულ გურამ გაბისკირიას მაგონებს. ასეთი ფანატიკოსები მეტი არ მინახავს. მინსკთან რომ წავაგეთ, 10 დღე ხმას არ გვცემდა. ჩემპიონატის ბოლოსწინა მატჩი შინ „როსტელმაშთან“ გვქონდა. რომ მოგვეგო, „ინტერტოტოს“ ვინაღდებდით. ამ თამაშს მე და დევაძე სარბენი ბილიკიდან ვუყურებდით. 0:1 წავაგეთ. ჩეტვერიკი ცუდად გახდა, კინაღამ მოკვდა. ერთ კვირაა შინ ჩაიკეტა. მოკლედ, ფეხბურთით ცხოვრობს ეს კაცი. მე არაფერში მზღუდავს, შენ მარტო შეტევაზე იფიქრეო — მეუბნება. „კამაზი“ სწორედ ჩეტვერიკმა „ამოქაჩა“ ქარხნის პირველობიდან...

— „კამაზმა“, იაპონიაში უნივერსიადაზე რუსეთის სახელით რომ გამოდიოდა, მესამე ადგილი დაკავა...

— მე, როგორც ლეგიონერმა, უნივერსიადაში მონაწილეობა ვერ მივიღე. მე და ჩეტვერიკი მერეღა ჩავფრინდით ფუკუოკში. ძალიან მინდოდა აზრიკ ცვეიბას ნახვა, მაგრამ მისი მეუღლე მეორე ბავშვს ელოდებოდა და მხოლოდ ტელეფონით ლაპარაკიღა მოვახერხე. თავის დროზე აზრიკმაც იგივე გზა გაიარა რაც მე: აფხაზეთი — თბილისის „დინამო“ — კიევი — „კამაზი“.

— უკრაინისა და რუსეთის ჩემპიონატებს თუ შეადარებ?

— შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ მე რუსეთში უფრო გამიადვილდა თამაში. უკრაინაში ბურთს ვინ მიგაღებინებს? მცველი უმალ ფეხზე გაზის, ანაც კოჭებში გირტყამს. რუსეთში კი ამის საშუალებას გაძლევენ. თანაც, რუსეთის ჩემპიონატში უფრო ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობენ. უკრაინაში ყველაფერი ფიზიკურ ძალაზეა.

— ჩეტვერიკიც სწორედ ფიზიკურ მომზადებას ანიჭებს დიდ მნიშვნელობას. მძიმე ვარჯიშები გაქვთ?

— რას ამბობ! მე ხომ კიევის „დინამოში“ ვიყავი წელიწადნახევარი. კიევზე მეტი დატვირთვები არა მგონია, სადმე იყოს. ეგ მარტო სულაქველიძემ და ჩივაძემ იციან, რას ნიშნავს კიევის „დინამოს“, უფრო სწორად, ლობანოვსკის ვარჯიშები. იმის მერე „კამაზი“ სამოთხეა.

— ვინც რუსეთში ნახე, რომელ მოთამაშეს გამოჰყოფდი?

— უდაოდ ციმბალარს. მერე — კეჩინოვს. საუკეთესოთა შორის შელიას და ყაველაშვილს დავასახელებდი. ვერ წარმოიდგენ, როგორ მიხაროდა „ყაველას“ გოლები. ქინქლაძის მატჩებსაც ვნახულობდი და ჩემს თანაგუნდელებს ვეუბნებოდი, შეხედეთ, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში-მეთქი. ჩავუჯდებოდი ღამ-ღამობით ტელევიზორს და ასე მეგონა, ჩვენს ბიჭებთან ვარ და რაღაცით ვეხმარები-მეთქი. „სპარტაკ-ალანიას“ ჩემპიონობაც ვიწინასწარმეტყველე და თანაგუნდელებს სანაძლეოც მოვუგე.

— „კამაზი“ ახალ სეზონში რას გეგმავს?

— ევროთასების საგზურს. გაისად, მარტში, რუსეთის თასის მერვედფინალში შინ მოსკოვის „სპარტაკს“ ვიღებთ. მერვედფინალი ერთმატჩიანია და მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალში გავდივართ. იქაც თუ ვიკარგეთ, ევროთასებსაც გამოვკრავთ ხელს.

— „კამაზში“ თავდასხმაში ვინ გიწევდა პარტნიორობას?

— წინ მე და დურნევი ვთამაშობდით. 23 წლის ბიჭია, დიდ სამუშაოს ასრულებდა. უკანაც ჩადიოდა და მეც კარგად მეხმარებოდა. წასვლა უნდოდა, მაგრამ უმალ ახალთახალი „ჯიპი“ აჩუქეს და დარჩა.

— მაშასადმე, რუსეთის ჩემპიონატს უკვე შეეგუე.

— რა თქმა უნდა. მე ხომ ჭაბუკობაში თბილისის „დინამოს“ დუბლში ვთამაშობდი და მაშინ მთელი რუსეთი შემოვლილი გვქონდა. [illegible] სულ სტილს. აქ მეტი საშუალება, თამაში შენს თავზე აიღო. მეც, ფაქტიურად ინდივიდუალისტი უფრო ვარ, ასე რომ, არ გამჭირვებია.

— კონტრაქტი რამდენწლიანი გაქვს?

— მომავალი სეზონი მთლიანად. მომბეზრდა აქეთ-იქით წანწალი. უკვე ოცდახუთს გადავაბიჯე. რუსეთში სტუმრად თამაშისას შორს ფრენა გვიწევს, რაც ძნელი მისაჩვევია. თუ რაიმე საინტერესო წინადადება გამოჩნდა, დავფიქრდები. მინდა, რომ ბოლოსდაბოლოს ჩემს უიღბლობას ბოლო მოვუღო და ის ფეხბურთი ვითამაშო, რომელიც მსურს და შემიძლია კიდეც. იქ ყველა პირობაა, რომ ოსტატობა აიმაღლო. ბინაც უმალ მომცეს, მანქანაც, ანაზღაურებაც კარგი მაქვს.

— ახალი სეზონისთვის ჩეტვერიკი კიდევ ხომ არ მიიწვევს ქართველებს?

— მე მთხოვა კარგი მცველი და მეკარე მჭირდებაო. გია ფირცხალავა და გელა ჭანტურია ვურჩიე, ელოდა კარგა ხანს, მაგრამ ჩვენები არ ჩამოვიდნენ. ახლა მინდა იური გაბისკირია და გია ბაბუაძე ჩავუყვანო. სოხუმიდან ვიცნობ ორივეს და ვიცი, რომ რუსეთის ჩემპიონატს კარგად შეეწყობიან.

— საქართველოს ნაკრებში ბოლოჯერ ალბანეთთან ითამაშე. თანაც, მარჯვენა ნახევარმცველის ადგილზე...

— ეგ არაა ჩემი ადგილი, ამიტომაც არაფერი გამომივიდა. მე ფორვარდი ვარ და ესაა ჩემი ადგილი. რა თქმა უნდა, თუ გუნდს დასჭირდა, სადაც მწვრთნელი დამაყენებს, იქ უნდა ითამაშო, მაგრამ ჩემი ადგილი მაინც მხოლოდ და მხოლოდ თავდამსხმაშია.

— უკვე 26 წლისა ხარ, ეს კი ფეხბურთელისთვის საუკეთესო ასაკია. თუ ხარ კარიერის პიკზე?

— არა მგონია, მეტი შემიძლია-მეთქი, ზემოთ გითხარი. მაგრამ, ეტყობა, ღმერთი ყველაფერს არ გაძლევს: „ფიზიკა“ მომაკლო და გადაჭარბებული ემოციები მიბოძა. სხვაც ბევრი ნაკლი მაქვს, მაგრამ ეს ორი განსაკუთრებით გამოსარჩევია. ახლა მაქსიმუმს არ ვთამაშობ, შევალ ფორმაში, რაღაცას მივაღწევ და, იმწუთში უბედობაა ჩასაფრებული. გული კი მწყდება, მაგრამ რას იზამ, ბავშვი აღარა ვარ. აწი ველარავინ შემცვლის. გამოცდილება კი მეძალა და ამის იმედი მაქვს.

— მომავალი გეგმები ახსენე. აქ ჩამოსვლა და „ცხუმი“ არ შედის მათში?

— აფხაზეთიდან წამოსვლის მერე დღე არ გასულა, სოხუმზე არ მეფიქროს. ახლახან მეზობელი ჩამოვიდა და მითხრა, რომ ჩემი სახლი ვიღაცას უკვე დაუსაკუთრებია, არადა, ისეთი გრძნობა მაქვს, რომ იქ აუცილებლად დავბრუნდები და „ცხუმშიც“ ვითამაშებ. გახსოვს, რა გუნდი იყო? ახლა გავიგე, „ცხუმის“ აღდგენა უნდათო. ყველა ყოფილი ცხუმელი მივეხმარებით ფინანსურად, ვისაც როგორ შეგვიძლია. კარიერას, ჩემი აზრით, ისევ „ცხუმში“ დავასრულებ და საქართველოს ბომბარდირთა „ასიანთა კლუბშიც“ შევალ. ჩელნიში ბლომად არიან აფხაზეთიდან ლტოლვილები და ტრიბუნიდან მხარს ისევე მიჭერენ, როგორც სოხუმში. ძალიან მენატრება სოხუმი. ახლახან ჩიხრაძე იყო ჩამოსული, ვიჯექით და მოხუცებივით წარსულს ვიგონებდით. სანამ აქა ვარ, შევკრებ ყველა ცხუმელს და „ცხუმის“ აღორძინების საკითხსაც გადავწყვეტთ...

...ძალზე მაინტერესებდა, მისცეს თუ არა მიშა ჯიშკარიანს უკრაინის ჩემპიონატის ოქროს მედალი. მიშამაც მაჩვენა ლამაზ ყუთში ჩადებული უკრაინის ჩემპიონისთვის განკუთვნილი ეს ჯილდო. მაშასადამე, იგი პირველი ქართველი ფეხბურთელია, ვინც უცხო ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ეს ინტერვიუ კი საკუთარ მოთამაშეებზე მეტად სიტყვაძვირი „კამაზის“ მთავარ მწვრთნელს, ვალერი ჩეტვერიკის სიტყვებით მაინც მინდა დავასრულო:

„პირველად ვნახე, რომ ქართველი ახეთომობდეს მინდორზე. ჯიშკარიანს რომ შევხედე, გავიფიქრე, ეს სუფთა, კანფეტივით პასებს თუ მიიღებს-მეთქი, მაგრამ მან მყისვე გამიფანტა ეჭვები. მიშასთან მუშაობა მეტად სასიამოვნოა, ძალზე საწყენი იყო, წითელი ბარათი რომ მიიღო და ჩემპიონატის ბოლომდე გამოგვაკლდა. ახალ სეზონში მე მისი დიდი იმედი მაქვს...“

მამუკა კვარაცხელია

# მთელი ცხოვრება ბედს ვებრძოდი

**ეს სიტყვები რუსთავის „მეტალურგის“ მთავარ მწვრთნელს, რეზო ძოძუაშვილს ეკუთვნის. პირველი წრეც ამის დასტური გახლდათ: დაშლის პირას მისული „მეტალურგი“, რომლის მოთამაშეებიც ხშირად თამაშებზეც კი არ აპირებდნენ გასვლას, ბოლო ტურებამდე ლიდერთა შორის იყო. ამაში რომ რეზო ძოძუაშვილის წვლილი დიდია, თქმა არ უნდა. მშვენიერი მოთამაშეებიც შეკრიბა (ეს არ ეშლება) და პირველობაც ჩინებულად დაიწყეს. ექვსი შეხვედრა ზედიზედ მოიგეს, მაგრამ თანდათან პრობლემებმაც იჩინეს თავი და პირველი წრის ბოლოს მხოლოდ მეექვსე ადგილს დასჯერდნენ. არადა, ძოძუაშვილის გუნდისგან ყველა გაცილებით მეტს ელოდება, თუმცა თავად ბატონი რეზო სხვას ფიქრობს...**



— მე მაინც მგონია, რომ მეექვსე ადგილი კანონზომიერია და გეტყვით რატომ. ლიდერს სულ ექვსი ქულით ჩამოვრჩებით. თანაც გაითვალისწინეთ, რომ გვიჭირდა, მატერიალური მდგომარეობა ხელს არ გვიწყობდა. კი ბატონო, საკმაოდ ძლიერი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ უფულოდ ძნელია წარმატებაზე ფიქრი. ამავე დროს, ძირითადის ორი ფეხბურთელი — მეტრეველი და არჩვაძე ავტოავარიაში მოყვა და თითქმის მთელი პირველი წრე ჩამოგვცილდა. რაც მთავარია, ჩვენ, ფაქტიურად, მოყვარულთა მომზადების დონით გავედით მეექვსეზე. ეს ადგილი სულაც არ არის ჩემთვის სასურველი, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით ნორმალური შედეგია. მეორე წრეში კი, ვფიქრობ, სამეულშიც შეგვიძლია მოხვედრა. ხშირად ვხვდებოდით ისეთ ვითარებაში, რომ ძალაუნებურად ექსპერიმენტებს ვატარებდი. შეიძლება თუ არა მოყვარულმა ფეხბურთელმა პროფესიონალის დონეზე ითამაშოს? რა არის საამისოდ საჭირო, როგორი დონისა და ფსიქოლოგიის მოთამაშეები? ასეა თუ ისე, გაჭირვების გადალახვა პატარა საქმე არგახლავთ. ჩვენნაირ პირობებში მყოფმა გუნდებმა 7-8 ქულით დაასრულეს პირველი წრე. ისე, გითხრათ სიმართლე, მთელი ცხოვრება. გაჭირვებებს, ექსტრემალურ ვითარებებს ვებმდი, იმიტომ, რომ დალხინებულ ვითარებაში ყველა მაგარი მწვრთნელია.

**— თქვენ რუსთავში თავის გამოცდა გსურდათ?**

— რასაკვირველია, ჩემთვის ყოველი დღე გამოცდასავით არის.

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მეექვსე ადგილი რეალობის გათვალისწინებით „მეტალურგისთვის“ მაქსიმუმია...**

— მაქსიმუმზე მეტიც არის.

**— „მეტალურგი“ შინ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა, ისიც „დინამოსთან“, სტუმრად კი სხვაგვარი ვითარებაა.**

— გეტყვით რა არის მიზეზი. თუ გუნდი მატერიალურად ძლიერია, სტუმრად შეხვედრის წინ ერთი დღით ადრე შეკრებ, დროულად გაემგზავრები და თამაშისათვის ნორმალურად მოემზადები. მე კი ფეხბურთელებს თბილისსა და რუსთავში სათითაოდ ჩამოვუვლი ხოლმე. არც ის ვიცი, როგორი მომზადებულია, როდის დაისვენა, რა ჭამა. მოკლედ, მოთამაშეები მოყვარულებივით იკრიბებიან. ეს სირთულეები გვაქვს გასვლითი თამაშების წინ. აქედან გამომდინარე, სტუმრად გუნდი თავის პოტენციალს ვერ ამჟღავნებს. წარმოიდგინეთ, ზესტაფონში შეხვედრის დაწყებამდე სამი წუთით ადრე ჩავედით. მოთამაშეს მხოლოდ მაშინ მოსთხოვ კარგ თამაშს, როდესაც კარგ პირობებს შეუქმნი. ფინანსური გაჭირვების გამო კი მსაჯებთან ახლო ურთიერთობაში ვერა ვართ, მასპინძელს კი თითქმის ყოველთვის 10-20 პროცენტით მაინც ემხრობიან და ამიტომ გვაქვს ცუდი შედეგი გასვლაზე.

**— როდესაც რუსთავში მიდიოდით, ბუნებრივია, გეცოდინებოდათ, რა განსხვავება იქნებოდა თბილისის „დინამოსა“ და „მეტალურგის“ პირობებს შორის,**

— არიან ადამიანები, რომლებიც მუდამ კარგ ვითარებაში ხვდებიან. მე ვიცი ასეთი მწვრთნელები. შეხვდებათ კარგი სპონსორი, ან ქალაქის ხელმძღვანელი და მხოლოდ გუნდის შექმნაზე უწევთ ფიქრი. ასეთი მწვრთნელი ვერ ეგუება ვითარების შეცვლას და ბევრი მათგანი იკარგება. მე კი, თავიდანვე, ფეხბურთელობიდან მოყოლებული სულ სიძნელეების, დაბრკოლებების გადალახვა მიხდებოდა. ერთი პერიოდი მსაჯობას მივყავი ხელი, რადგანაც გარკვეულ წრეს ჩემი მწვრთნელობა ხელს არ აძლევდა — მათ ვინც თავის დროზე ჩვენს ფეხბურთს ხელმძღვანელობდა. არადა, მაშინ ქუთაისის „ტორპედოში“ კარგი შედეგები მქონდა. შემდეგ კი ის ხალხი საქართველოს ფეხბურთს ჩამოშორდა და ისევ მწვრთნელობა დავიწყე.

რასაკვირველია, რთულია „დინამოდან“ უცებ „მეტალურგში“ გადასვლა. ლიდერიდან პირდაპირ აუტსაიდერთან გადავინაცვლე. მიზნებიც განსხვავებული იყო, პირობებზე ხომ აღარაფერს ვამბობ და უცებ, იმ წელსვე თასის ფინალში გავედით. რუსთავში დამძიმებული გულით ჩავედი. შენი მუშაობის შედეგებით სხვა რომ იხეირებს, როგორი საქმეა? მაგრამ ცხოვრებისეული გამოცდილება დამეხმარა, სირთულეების გადალახვის უნარი და ხვალინდელი დღის იმედი ყოველთვის მქონდა. თუ როდესმე ისევ მომიწევს დალაგებულ, მშვიდ გარემოში მუშაობა, კიდევ შევძლებ ჩემი ცოდნისა და უნარის გამოვლენას.

სეზონის წინ, კარგად იცით, თბილისის „დინამომ“ ჩვენგან ლევან კობიაშვილი და გიორგი გახოკიძე წაიყვანა. ამან მოგვცა საშუალება ბიზნესში „დინამოსთან“ გვეთანამშრომლა. მე იძულებული ვიყავი ბიზნესშიც ჩავრთულიყავი გუნდის გაჭირვების გამო. უნდა შემომეტანა საქონელი და მოგებით ხელფასები გამესტუმრებინა. ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდება გუნდში, რომლის მწვრთნელიც ასეთი საქმით არის დაკავებული? იგი თავის პოტენციალს ვერ გამოავლენს. მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. აქვე თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებს მატერიალური დახმარებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო. მათი თანადგომის გარეშე „მეტალურგი“ დაიშლებოდა და გუნდში აღარავინ გამიჩერდებოდა.

**— ამით იყო გამოწვეული ბოლო დროს გუნდთან თქვენი საკმაოდ ხანგრძლივი განშორებები? ისიც კი ითქვა, რეზო ძოძუაშვილმა ფეხბურთზე გული აიყარაო...**

— გულის აყრა ტყუილია. გუნდი მეშლებოდა, ნორმალურ პირობებში ვერ ვმუშაობდი და, ვიმეორებ, სხვა გზა არც მქონდა. ეს ჩემი ერთგვარი გამართლებაა. მოთამაშეები მე მთხოვდნენ ხელფასებსა და პრემიებს, ისინი, ვინც სხვადასხვა გუნდებიდან, ზოგიც უკრაინიდან ჩამოვიყვანე. ესე იგი, ავტორიტეტი მეკარგებოდა. ბოლო დროს გუნდთან თამაშებზეღა თუ მივდიოდი, ისიც იშვიათად. ახლა კი გამოგვიჩნდა სპონსორი, როგორც ჩანს ფეხბურთი უყვარს. ხომ იცით, ვინც მოითმენს, ის მოიგებსო. ჩვენც ასე მოგვივიდა და არ მეშინია იმის თქმა,რომ მეორე წრეში გაცილებით ძლიერად ვითამაშებთ.

**— თითქმის მთელი პირველი წრე სამეულს არ ჩამოცილებიხართ, წრე კი მხოლოდ მეექვსე ადგილით დაასრულეთ. ალბათ, ბოლოს ყველა პრობლემა ერთად ამოტივტივდა...**

— ფეხბურთელები ბოლოს დაუძლურებულები იყვნენ. შეკრებისა და კვების გარეშე ეს ლოგიკურიც იყო. თანაც ბევრი მათგანი ოჯახს და ცოლ-შვილს ინახავს და უფულობისას ვის ეფეხბურთებოდა?

**— ეს როგორ, ბატონო რეზო, თქვენთან ცოლიანებიც არიან?**

— როგორ არა, გვყავს! ვიცი, ჩემს მიმართ არის ასეთი პრეტენზიები. როცა ფეხბურთელი თავს ვერ უვლის, ხელფასი არ აქვს და უცებ მეუღლე და შვილი ემატება, ამ დროს ხშირად ფსიქიკა ეცვლება, ჩვენც არ ვიცით, რა გავაკეთოთ და მისი დონეც ეცემა. თორემ რა მაქვს ცოლიანების საწინააღმდეგო? კოროშინაძე, ფოფხაძე, ბურნაძე, მეტრეველი ცოლიანები არიან. მე მივესალმები ისეთ ოჯახებს, რომლებიც მატერიალურად ძლიერნი არიან. ფეხბურთელებს სულ იმას ვეუბნები, ისეთი ოჯახის შვილები შეირთონ, რომლებიც აქეთ არჩენენ ჩვენს გამათხოვრებულ სპორტსმენებს. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ არის გარკვეული მოთხოვნებიც — მოთამაშემ ცოლი სეზონის პერიოდში არ უნდა შეირთოს. სეზონის შემდეგ, თუ უნდათ, ყველამ ერთად მოიყვანოს.

**— ეს კონტრაქტებშიც ხომ არ გიწერიათ?**

— თავისთავად. მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ კონტრაქტს ხშირად ჩვენვე ვარღვევთ და მოთამაშეს რა უნდა მოვთხოვთ? ვეუბნებით ერთს და ვაკეთებთ მეორეს. ბევრი ტყუილიც გამოგვდის. დამირღვევენ მერე კონტრაქტს, აბა რა იქნება.

**— კილასონიების წასვლა წელს, „მეტალურგს“ აშკარად დაეტყო. თანაც, მეტრეველი და არჩვაძეც გამოგაკლდნენ. ამის გამო ნახევარდაცვა ვერ არის სასურველ დონეზე.**

— მართალი ბრძანდებით. ეს პოზიცია ჩვენი სუსტი ადგილია. ჩემპიონატის დაწყებამდე ვის იმედზეც ვიყავით, როგორც გითხარით, ავარიაში მოხვდნენ — მეტრეველი და არჩვაძე, ასე რომ, ცენტრში ორი ძლიერი მოთამაშე გამოგვაკლდა. არა გვაქვს საშუალება მათ ადგილზე ვინმე მოვიწვიოთ. ამის გამო ნახევარდაცვა შემოქმედებითად ვერ თამაშობდა, კონსტრუქტორები გვაკლდა, თორემ ტარტარაშვილი და ბუცურეიშვილი თავის ფუნქციებს ასრულებდნენ. „აზოტიდან“ კი გვსურდა რამდენიმე კაცის მოწვევა, მაგრამ მათ პირველ ჯგუფში გადასვლა განიზრახეს და თავადაც სჭირდებათ ფეხბურთელები. ამიტომ მათ ხელი არ შევუშალეთ.

**— ამით იყო გამოწვეული გაუთავებელი ექსპერიმენტები ნახევარდაცვაში?**

— რადგან გუნდში ასეთი ვითარება შეიქმნა,ზოგიერთ ფეხბურთელს ამპლუა შევუცვალეთ. მაგალითად ბურნაძეს, ტარტარაშვილს და ბუცურეიშვილს. ისინი მცველები იყვნენ, ახლა კი სულ სხვა დავალებას ასრულებენ. ერთ-ორ თვეში ფეხბურთელი შემტევი, შემოქმედი სტილის მოთამაშედ ვერ გარდაიქმნება. ეგ კია,მ უდამ ერთნაირი ტაქტიკით თამაში გუნდის დაკონსერვებას ნიშნავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ ტაქტიკური ექსპერიმენტების მიზანი მაინც ქართულ ფეხბურთზე ფიქრია. ჩვენს ნაკრებს უნივერსალური, თანამედროვე ყაიდის მოაზროვნე ფეხბურთელები უნდა გავუზარდოთ. ბუცურეიშვილი, რეხვიაშვილი, ბურნაძე, ჩალაძე ახალგაზრდულ ნაკრებში არიან. მგონი, ამდენი მოთამაშის გაზრდა ჩვენნაირი გუნდისთვის ურიგო საქმე არ გახლავთ.

**— შევიტყვეთ, პერტია და რეხვიაშვილი „დნეპრში“ არიან გასინჯვაზეო. იქ რომ დარჩნენ. მათ შემცვლელებად ვის მოიყვანთ?**

— მე ვიცი პერტიასა და რეხვიაშვილის სურვილი, მაგრამ ეგენი ჩვენი გადაწყვეტილების გარეშე ვერსად წავლენ. თუმცა, არ ავუკრძალავ მოთამაშეს, რომ დნეპრისნაირ გუნდში წავიდეს, მოემზადოს ნორმალურ პირობებში, ნახოს უკრაინის ფეხბურთი რა დონისაა. იფიქროს, „დნეპრში“ მოხვედრა არის თუ არა ადვილი, რა არის საჭირო დიდი ფეხბურთისათვის, მაგრამ თუ ფეხბურთელი მაღალი დონის გუნდში წავა, ჩვენ ხელი არ უნდა შევუშალოთ. ძირითადად არც შეგვშლია. მაგალითად კილასონიების წასვლა იკმარებს. მათი შემცვლელები მოვძებნეთ. ეს წინასწარ გვაქვს გათვალისწინებული. ნებისმიერის წასვლისას მათ შემცვლელს მოვიყვანთ.

**— კონკრეტულად მაინც არ თქვით, ამათ შემცვლელებად ვინ გეგულებათ...**

— „აზოტში“ ბევრი კარგი მოთამაშეა.

**— რომ თქვით, „აზოტი“პირველ ჯგუფს უმიზნებს და ჩვენ ხელს არ შევუშლითო?**

— მაშინ ჩვენ ფული არ გვქონდა, ფეხბურთელის მოწვევის საშუალება არ იყო, თორემ „აზოტს“ სარეზერვო გუნდად გავიხდიდით, რასაც ახლა ვაპირებთ. ახალმა სპონსორმა ორივეს დაფინანსება გადაწყვიტა.

**— სად აპირებთ მეორე წრისთვის მომზადებას?**

— ჯერ რუსთავში, შემდეგ კი უცხოეთშიც გვპირდებიან შეკრების მოწყობას, თუ საკმარისი თანხა და საშუალება გამოინახა, ანთალიაში წასვლა კარგი იქნება.

**— მოთამაშეებთან ურთიერთობას რა პრინციპით აგებთ?**

— უპირველესად, თვითონ მწვრთნელი უნდა იყო ფსიქოლოგი, პედაგოგი, მამისა და ოჯახის უფროსის როლის შემსრულებელი.

მთელ კოლექტივთან ერთი კანონი მოქმედებს, ვარსკვლავიც რომ იყოს, თუ თავისი ქცევით ზიანს აყენებს გუნდს, ან უნდა საქმისადმი დამოკიდებულება შეცვალოს, ან დასტოვოს გუნდი. ფეხბურთელს უნდა გააგებინო, რომ შენ იმაზე მეტი იცი. თუ ამას მოთამაშე გრძნობს, მაშინ დაგიჯერებს და გამოგყვება. ბევრი ნიჭიერი მოთამაშე ბავშვობიდანვე ვარსკვლავთა სენით ავადდება და ჰგონიათ, მხოლოდ ნიჭით გაიტანენ თავს. მეორე მომენტი ისაა, როდესაც ქუჩისკენ იხრება ადამიანი. ასეთ შემთხვევებში სხვანაირად უნდა მიუდგე, მის ენაზე დაელაპარაკო. თითოეულ ფეხბურთელთან ურთიერთობას ინდივიდუალური პრინციპით ვაგებ. მთავარია კიდევ ერთი ფაქტორი: რასაც შეპირდები ფეხბურთელს, უნდა შეუსრულო. მას არ უნდა ჰქონდეს სათქმელი, მიხაილოვიჩ, შემპირდი და არ შემისრულეო. მოკლედ, ყველა მოთამაშესთან მისი ფეხბურთელად ჩამოყალიბების გეგმას ვადგენ და ამის მიხედვით ვმუშაობ.

**— რომელი რგოლია გუნდში დასაბალანსებელი?**

— რა ხალხიც არ უნდა მყოლოდა, მაინც დღევანდელი შედეგი გვექნებოდა და მათი პოტენციალიც ბოლომდე ვერ გამოჩნდებოდა. ამიტომ ბოლო ორი წელი ისეთ ფეხბურთელებს ვეძებდი, რომლებიც გაჭირვებას აიტანდნენ და უფულოდაც ითამაშებდნენ.

**— ესე იგი, პირველი წრის ვითარება წინასწარ გათვალეთ?**

— ვიცოდი, მეტი გზა რომ არ მქონდა, ამიტომ ვარსკვლავებს კი არა, ისეთებს ვეძებდი, გვერდში რომ ამომიდგებოდნენ და გამიმართლა კიდეც. მეორე წრეში კი, ფინანსურმა მდგომარეობამ თუ შეგვიწყო ხელი, გუნდიც გაძლიერდება და ისეთ მოთამაშეებს დავიმატებთ, ვინც მართლა დაამშვენებს „მეტალურგს“. რუსთავში თუ არ იქნება ასეთი, სხვაგან მოვძებნით, ჩამოვიყვანთ და ჩამოვაყალიბებთ.

**— გუნდის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, „მეტალურგში“ ბევრია 19-21 წლის ახალგაზრდა...**

— საერთოდ, უფულობისას ძნელია ვეტერანებთან მუშაობა, ახალგაზრდებთან კი სხვა საქმეა. ისე დაოსტატებულ მოთამაშესთან თანამშრომლობას რა ჯობს. სულ ასე ვიქნებით, თუ დინამოსნაირი პირობები არ გვექნება, ჩვენგან ნიჭიერ ფეხბურთელებს წაიყვანენ და ისევ მომიწევს ხადლაც, მიყრუებულ სოფელში მოთამაშის მოძებნა. თუმცა იმედია, ვითარება შეიცვლება და აქეთ მოვიწვევ ჩემთვის საჭირო მოთამაშეს. თუ არადა, ისევ წავა რეზო ძოძუაშვილი ტრაპიზონში, ისევ ბიზნესით იქნება დაკავებული და არა თავისი უშუალო საქმით. გულახდილად რომ ვთქვა, კი ვფიქრობდი ერთი ხანობა, დიდ ფულს ვიშოვი, დროებით ჩამოვშორდები გუნდს, შემდეგ მთავარი მწვრთნელობას პრეზიდენტობას შევუთავსებ და ჩემს გემოზე ავაწყობ-მეთქი საქმეს. კიდევ კარგი, ვითარება შეიცვალა.

**— რომ გქონდეთ ასეთი საშუალება, რას გააკეთებდით?**

— ისეთ გუნდს, როგორიც ჩემ დროს იყო „დინამო“. პირველად მოთამაშეებს მოვიწვევდი, კარგ ჯამაგირს დავუნიშნავდი, სტადიონს შევარემონტებდი, ბაზას ავაშენებდი, შეკრებებს მოვაწყობდი და კიდევ ბევრ სხვა რამეს გავაკეთებდი, რითაც ყალიბდება დიდი გუნდი. ამის იმედს არ ვკარგავ. თუ იმედებმა გამიმართლა, ძალიან ადვილად შეგვიძლია ევროპას ვებრძოლოთ. წელს კი სამეულში მოხვედრა სავსებით რეალურია. ჩვენ ევროპაში გასასვლელად ვიბრძოლებთ. დროა, რუსთავში ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ.

მერაბ მამულაშვილი

| მეტალურგი რუსთავი |
| --- |
| 1. შევარდენი 3:2 (0:1) შინ |
| 2. ივერია 2:1 (1:0) სტუმრად |
| 3. კახეთი 3:0 (1:0) შინ |
| 4. გურია 3:0 (1:0) სტუმრად |
| 5. დურუჯი 4:0 (2:0) შინ |
| 6. სიონი 2:0 (1:0) სტუმრად |
| 7. დინამო 0:2 (0:1) შინ |
| 8. სამტრედია 0:3 (0:2) სტუმრად |
| 9. კოლხეთი 3:1 (1:1) შინ |
| 10. ბათუმი 1:2 (0:1) სტუმრად |
| 11. ზუგდიდი 3:1 (0:0) შინ |
| 12. ტორპედო 0:2 (0:2) სტუმრად |
| 13. ეგრისი 4:1 (2:0) შინ |
| 14. დილა 5:1 (2:0) შინ |
| 15.; მარგვეთი 0:3 (0:1) სტუმრად |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| სულ | 15 | 10 | 0 | 5 | 33-19 | 30 |
| შინ | 8 | 7 | 0 | 1 | 25-8 | 21 |
| სტუმრად | 7 | 3 | 0 | 4 | 8-11 | 9 |



სატურნირო მდგომარეობა ტურების მიხედვით (თარაზულად — ტურის ნომერი, შვეულად — ადგილი სატურნირო ცხრილში)

| პირველ წრეში თამაშობდნენ | თამაში | გოლი | გაფრთხ. |
| --- | --- | --- | --- |
| მეკარეები | | | |
| გუბაზ დოლიძე | 12 | -13 | - |
| ანდრო კოროშინაძე | 5 | -6 | - |
| მცველები | | | |
| მურად ყაველაშვილი | 15 | - | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | 14 | - | - |
| ზურაბ ფოფხაძე | 13 | 2 | - |
| მერაბ თევზაძე | 12 | - | - |
| ალექსანრე ბურნაძე | 11 | 2 | - |
| ლაშა ამბიძე | 6 | - | - |
| ნახევარმცველები | | | |
| მამუკა ბუცურეიშვილი | 14 | 1 | - |
| ნორმენ ტარტარაშვილი | 13 | 1 | - |
| თენგიზ დოლიძე | 8 | - | - |
| გელა არჩვაძე | 6 | 1 | - |
| თამაზ მეტრეველი | 3 | 1 | 1 |
| კახა კვინტრაძე | 3 | 3 | - |
| თავდამსხმელები | | | |
| კახა ალადაშვილი | 15 | 8 | 1 |
| დათო ჩალაძე | 14 | 8 | - |
| თამაზ პერტია | 13 | 1 | - |
| ზაზა ზირაქაშვილი | 12 | 5 | 1 |

# ფიფა და კოკა-კოლა ყველასათვის

მთელი მსოფლიოს ნაკრებთა კლასიფიკაცია, ან, თუ გნებავთ, რეიტინგი ფიფამ და კოკა-კოლამ ერთად, პირველად, 1993 წლის აგვისტოში გამოაქვეყნეს. მას მერე ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყანაში ყოველთვიურად მოუთმენლად ელიან ახალ რეიტინგს, რათა გაარკვიონ, ვინ რამდენი ადგილით ალზევდა, ვინ დაქვეითდა. ამასწინათ, მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრისთვის ევროპის გუნდები სწორედ ამ სიის მიხედვით განთესეს. ფიფა — კოკა-კოლას კლასიფიკაციას მთავარ ეროვნულ ნაკრებთა ყველა თამაშის მიხედვით ადგენენ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით — რეიტინგის შედგენისას არ ითვალისწინებენ ქალთა, ახალგაზრდათა, ჭაბუკთა და ა.შ. ნაკრებთა შედეგებს. ამგვარად, ქვეყანათა ადგილს ჩამონათვალში განსაზღვრავს.

მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩები;

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები;

კონტინენტის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მატჩები;

კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები;

ამხანაგური მატჩები;

თავდაპირველ რეიტინგში ადგილები 1985-92 წლებში ნათამაშები შეხვედრების მიხედვით გაანაწილეს. რაც შეეხება ქულათა დარიცხვის პრინციპს, იგი ემყარება:

მოგებას, ფრეს თუ წაგებას;

გოლების რაოდენობას;

შინ იყო თამაში თუ სტუმრად;

შეხვედრის მნიშვნელოვნებას;

რეგიონულ სიძლიერეს;

ჩვეულებრივ, თუ ძლიერი გუნდი სუსტს ეთამაშება, იგებს. თუ ეს ძლიერი გუნდი მიყოლებით სუსტ გუნდებს ხვდება, ყველა თამაშს იგებს და, შესაბამისად, რეიტინგშიც სულ წინ იქნება, დანარჩენები კი ბოლოში. მაგრამ, ასე, ამ გუნდების რეალურ ძალასა და პროგრესს თუ რეგრესს, ვერ განვსაზღვრავთ. ამიტომაც შემოიღეს ქულათა დარიცხვის ზემოხსენებული პრინციპი, რომლის შესახებაც უფრო დაწვრილებით ვისაუბროთ.

### მოგება, ფრე და წაგება

ცხადია, მოგება მეტად უნდა ფასობდეს ვიდრე ფრე და მითუმეტეს წაგება, მაგრამ გამარჯვებისთვის უბრალოდ ორი ქულის მინიჭება, ხოლო წაგებისათვის ნულის, ფიფასეულ პრინციპებს დაარღვევდა. ამიტომ გუნდები სიძლიერის მიხედვით დაყვეს. იმ შემთხვევაში თუ:

ძლიერი ხვდება ძლიერ სუსტს:

თუ იგებს ძლიერი, ორივეს თითო ქულა ენიჭება;

თუ ფრეა, ძლიერს ქულას არ მიანიჭებენ, სუსტს კი ორი ქულა დაერიცხება;

თუ იგებს სუსტი, მას სამი ქულა ენიჭება, ძლიერს კი მინუს ერთი;

ძალთა შორის მცირე სხვაობაა;

თუ აგებს უფრო ძლიერი, მას 1.90 ქულა ენიჭება, უფრო სუსტს კი 0.10;

თუ ფრეა, უფრო ძლიერს 0.90 მიენიჭება, უფრო სუსტს კი 1.10;

თუ იგებს უფრო სუსტი, მას 2.10 მიენიჭება, უფრო ძლიერს კი მინუს 0.10;

თამაშობენ თანაბარი ძალის გუნდები:

მოგებულს ორი ქულა მიენიჭება, წაგებულს ნული;

ფრეს შემთხვევაში თითო ქულა მიენიჭებათ;

### გოლების რაოდენობა

აქაც იმას ანიჭებენ მნიშვნელობას, თუ რა ძალის გუნდი რა ძალისას ეთამაშება. ითვალისწინებენ გატანილ გოლთა რაოდენობასა და გატანილ-გაშვებულთა სხვაობას. სუსტი გუნდის მიერ ძლიერის კარში გატანილი გოლი მეტად ფასობს, ვიდრე — ძლიერის მიერ სუსტის კარში და მაინც, გოლებს მოგებასთან შედარებით ნაკლებად აფასებენ. ამგვარად, გატანილი გოლების რაოდენობა მოგებაზე მეტად არ ფასობს.

### შინ თუ სტუმრად

სტუმრად მოთამაშე გუნდს შედეგის შესაბამისად მიღებულ ქულებზე 0.3 ემატება. ნეიტრალურ მოედანზე თამაში კი დამატებით ქულას არ იძლევა.

### შეხვედრის მნიშვნელობა

ამის მიხედვით, რა რანგის მატჩია (თუ ამხანაგურია) ქულები მრავლდება:

ამხანაგური შეხვედრისას 1.00-ზე;

კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრისას — 1.10-ზე;

კონტინენტის ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის შეხვედრისას — 1.25-ზე;

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრისას — 1.25-ზე;

მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის შეხვედრისას — 1.50-ზე;

### რეგიონალური სიძლიერე

აქაც ქულები შესაბამის კოეფიციენტებზე მრავლდება. კოეფიციენტი კი იმის მიხედვითაა შედგენილი, რომელი კონტინენტის გუნდებმა კონტინენტთაშორის რანგის შეხვედრა-შეჯიბრებაში რა შედეგებს მიაღწიეს. ამგვარად:

ევროპა X 1.00
სამხრეთ ამერიკა X 1.00
აფრიკა X 1.95
კონკაკაფი X 1.95
აზია X 1.85
ოკეანია X 1.85

ეს კრიტერიუმი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, ერთმანეთს ერთი კონტინენტის გუნდები რომ ეპაექრებიან. სხვადასხვა კონტინენტის გუნდების შეხვედრისას (მსოფლიოს პირველობის დასკვნითი ეტაპის ჩათვლით), რეგიონული სიძლიერის კოეფიციენტი 1.00 ხდება. კოეფიციენტი ყოვეწლიურად იცვლება.

### საბოლოოდ

ფიფა — კოკა-კოლას რეიტინგში ჯამური ქულები ზემომოყვანილი პუნქტების მიხედვით ითვლება. თუ რემელიმე გუნდის ქულები უარყოფითი რიცხვია, რეიტინგში 0.00 იწერება.

სამომავლოდ კიდევ ორი კრიტერიუმის დანერგვას აპირებენ. სრული ობიექტურობისთვის (კლასიფიკაციას ადგენენ დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩატარებული შეხვედრების მიხედვით) გაითვალისწინებენ:

დროის ამ მონაკვეთში გუნდის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობას;

ამ მონაკვეთამდე ჩატარებული მატჩების შედეგებს;

ახლა ესეხიც განვიხილოთ

### მატჩების რაოდენობა

კლასიფიკაციაში გათვალისწინებულ დროის მონაკვეთში ჩატარებული მატჩების შედეგების შესაფერისად შემოიღეს საგანგებო მეთოდი, რომელიც ეყრდნობა:

ამ მონაკვეთში ჩატარებული რვა საუკეთესო მატჩის შედეგების ჯამს;

ამ მონაკვეთში ჩატარებული ყველა მატჩის შედეგთა ჯამს;

ახლა იწყება რთული მათემატიკა. ამგვარად, თუ, ვთქვათ, გუნდმა საკლასიფიკაციო პერიოდში ითამაშა 12 შეხვედრა:

ამოარჩევენ რვა საუკეთესო შედეგს;

ამ რვა თამაშის ჯამურ ანგარიშს გამოითვლიან (X);

გამოითვლიან 12-ვე თამაშის ჯამურ ანგარიშს;

ამ ჯამს გაყოფენ 12-ზე და გაამრავლებენ 8-ზე (X);

გამოითვლიან X+Y-ს

X+Y-ს გაყოფენ ორზე.

თუ გუნდმა დროის ზემოხსენებულ მონაკვეთში რვაზე ნაკლები ითამაშა, შეაფასებენ ჩატარებული შეხვედრების ანგარიშების მიხედვით.

### ძველი შედეგები

უეჭველი სამართლიანობისთვის ფიფა ითვალისწინებს ზემოხსენებულ პერიოდამდე ჩატარებული მატჩების შედეგებს. მაგალითისთვის განვიხილოთ ახლანდელი რეიტინგი.

ბოლო 12 თვე — ფასდება როგორც გამოთვლილი ქულათა 6/6. ამას ემატება:

1994 — 5/6
1993 — 4/6
1992 — 3/6
1991 — 2/6
1990 — 1/6

### ჯილდო

წლის ბოლოს კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გასულ გუნდს წლის საუკეთესო გუნდის წოდებით აჯილდოებენ, ხოლო იმ ნაკრებს, რომელიც ბოლო 12 თვეში ყველაზე მეტად გადაინაცვლებს წინ, საბოლოო ქულებს წლის განმავლობაში დაგროვებულზე გაუმრავლებენ.

## ფიფა — კოკა-კოლას 1995 წლის საბოლოო რეიტინგი

პირველ სვეტში მოყვანილია ქულების რაოდენობა, მეორეში — რამდენი ადგილით წაინაცვლა ქვეყანამ შარშანდელთან შედარებით. ცხრილში არ არიან ფიფას ის წევრები, რომლებსაც 1989 წლის შემდეგ არ უთამაშიათ, ან ჯერ არ ჩაუტარებიათ თამაშები.

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ბრაზილია | 68.49 | 0 |
| 2 | გერმანია | 61.77 | +3 |
| 3 | იტალია | 61.10 | +1 |
| 4 | ესპანეთი | 59.12 | -2 |
| 5 | რუსეთი | 58.76 | +8 |
| 6 | პოლანდია | 57.35 | 0 |
| 7 | არგენტინა | 56.88 | +3 |
| 8 | საფრანგეთი | 56.73 | +11 |
| 9 | დანია | 56.43 | +5 |
| 10 | ნორვეგია | 55.74 | -2 |
| 11 | რუმინეთი | 55.10 | 0 |
| 12 | მექსიკა | 54.81 | +3 |
| 13 | შვეცია | 54.79 | -10 |
| 14 | ჩეხეთი | 57.40 | +20 |
| 15 | კოლუმბია | 53.29 | -2 |
| 16 | პორტუგალია | 53.24 | +4 |
| 17 | ბულგარეთი | 53.02 | -1 |
| 18 | შვეიცარია | 52.11 | -11 |
| 19 | აშშ | 51.04 | +4 |
| 20 | სპილოს ძვლის ნაპირი | 58.98 | +5 |
| 21 | ინგლისი | 48.86 | -3 |
| 22 | ტუნისი | 48.26 | +8 |
| 23 | ეგვიპტე | 48.26 | -1 |
| 24 | ბელგია | 47.99 | 0 |
| 25 | ზამბია | 47.66 | -4 |
| 26 | შოტლანდია | 47.63 | +6 |
| 27 | ნიგერია | 47.44 | -15 |
| 28 | ირლანდია | 47.32 | -19 |
| 29 | განა | 47.05 | -3 |
| 30 | თურქეთი | 46.26 | +18 |
| 31 | იაპონია | 45.34 | +5 |
| 32 | ურუგვაი | 44.56 | +5 |
| 33 | პოლონეთი | 43.95 | -4 |
| 34 | საბერძნეთი | 43.83 | -6 |
| 35 | სლოვაკეთი | 43.80 | +8 |
| 36 | ჩილე | 42.34 | +11 |
| 37 | კამერუნი | 41.80 | -6 |
| 38 | მაროკო | 41.46 | -5 |
| 39 | ავსტრია | 41.07 | +10 |
| 40 | სამხრეთი აფრიკა | 40.79 | +16 |
| 41 | ხორვატია | 40.45 | +21 |
| 42 | ისრაელი | 40.24 | 0 |
| 43 | ლიტვა | 38.90 | 16 |
| 44 | ფინეთი | 38.71 | -6 |
| 45 | ჩრდ. ირლანდია | 38.54 | 0 |
| 46 | კორეა | 38.44 | -11 |
| 47 | სენეგალი | 38.43 | +3 |
| 48 | ალჟირი | 38.39 | +9 |
| 49 | პონდურასი | 38.05 | +4 |
| 50 | ისლანდია | 37.90 | -11 |
| 51 | ავსტრალია | 37.56 | +7 |
| 52 | მალი | 37.50 | 0 |
| 53 | ბოლივია | 37.43 | -9 |
| 54 | საუდის არაბეთი | 37.13 | -27 |
| 55 | ეკვადორი | 36.73 | 0 |
| 56 | იამაიკა | 36.68 | +40 |
| 57 | ტრინიდადი | 36.60 | +34 |
| 58 | სიერა ლეონე | 36.33 | +18 |
| 59 | ზიმბაბვე | 36.00 | -8 |
| 60 | ლატვია | 35.51 | +9 |
| 61 | უელსი | 33.96 | -20 |
| 62 | უნგრეთი | 33.57 | -1 |
| 63 | გვინეა | 32.59 | +3 |
| 64 | პარაგვაი | 32.38 | +23 |
| 65 | კანადა | 32.36 | -2 |
| 66 | ჩინეთი | 32.32 | -26 |
| 67 | გაბონი | 31.91 | -3 |
| 68 | ზაირი | 31.74 | 0 |
| 69 | პერუ | 31.66 | +3 |
| 70 | ტანზანია | 31.10 | +4 |
| 71 | უკრაინა | 30.36 | +6 |
| 72 | სლოვენია | 30.36 | +10 |
| 73 | კვიპროსი | 29.54 | -6 |
| 74 | უგანდა | 29.33 | +19 |
| 75 | არაბთა საემიროები | 28.74 | -29 |
| 76 | მოზამბიკი | 27.93 | +18 |
| 77 | ტაილანდი | 27.32 | +8 |
| 78 | კოსტა რიკა | 27.14 | -13 |
| 79 | საქართველო | 27.03 | +13 |
| 80 | ანგოლა | 26.79 | +26 |
| 81 | იუგოსლავია | 26.20 | +20 |
| 82 | სალვადორი | 26.13 | -2 |
| 83 | ყატარი | 24.94 | -23 |
| 84 | კუვეიტი | 24.10 | -30 |
| 85 | მავრიტანია | 24.07 | +52 |
| 86 | სუდანი | 23.99 | +30 |
| 87 | ლიბერია | 23.70 | +40 |
| 88 | ბელარუსი | 23.63 | +33 |
| 89 | მალავი | 22.92 | -7 |
| 90 | მალტა | 22.53 | -12 |
| 91 | ალბანეთი | 21.81 | +9 |
| 92 | ტოგო | 21.80 | -6 |
| 93 | ნიგერი | 21.70 | -23 |
| 94 | მაკედონია | 21.64 | -4 |
| 95 | სენტ ვინსენტი | 21.54 | +49 |
| 96 | კუბა | 21.17 | +76 |
| 97 | უზბეკეთი | 20.68 | -19 |
| 98 | ომანი | 20.57 | -27 |
| 99 | ბაჰრეინი | 20.51 | -26 |
| 100 | ლუქსემბურგი | 20.11 | +28 |
| 101 | ბურკინა ფასო | 19.29 | -4 |
| 102 | ახალი ზელანდია | 18.94 | -3 |
| 103 | ბარბადოსი | 18.57 | +4 |
| 104 | სინგაპური | 18.38 | -9 |
| 105 | ეთიოპია | 18.29 | +10 |
| 106 | მალაიზია | 17.64 | -17 |
| 107 | კენია | 17.21 | -24 |
| 108 | ირანი | 17.20 | -33 |
| 109 | მოლდოვა | 17.19 | +9 |
| 110 | ერაყი | 17.00 | -22 |
| 111 | პონკონგი | 16.89 | -13 |
| 112 | გამბია | 16.19 | +5 |
| 113 | სომხეთი | 16.02 | +28 |
| 114 | სენტ ლუსია | 15.86 | +43 |
| 115 | ბირმა | 15.63 | +9 |
| 116 | ნამიბია | 15.36 | +7 |
| 117 | ჩრდ. კორეა | 15.32 | -33 |
| 118 | გვინეა-ბისაუ | 15.09 | +4 |
| 119 | კონგო | 15.07 | -5 |
| 120 | ფარერები | 14.66 | +13 |
| 121 | ინდოეთი | 14.51 | -12 |
| 122 | ვიეტნამი | 13.59 | +29 |
| 123 | იემენი | 12.73 | -20 |
| 124 | სურინამი | 12.67 | -20 |
| 125 | პოლანდიის ანტილები | 12.50 | +27 |
| 126 | პანამა | 12.36 | +14 |
| 127 | ვენესუელა | 12.15 | -17 |
| 128 | პუერტო რიკო | 11.84 | -16 |
| 129 | ესტონეთი | 11.59 | -10 |
| 130 | ინდონეზია | 11.46 | +4 |
| 131 | კაიმანი | 11.34 | +19 |
| 132 | მადაგასკარი | 11.28 | -21 |
| 133 | თურქმენეთი | 11.27 | -25 |
| 134 | ლიბანი | 11.19 | -5 |
| 135 | შრი ლანკა | 11.09 | +4 |
| 136 | სირია | 10.18 | -31 |
| 137 | ანტიგუა | 9.54 | -1 |
| 138 | ბანგლადეში | 9.45 | -8 |
| 139 | ფიჯი | 9.35 | -19 |
| 140 | ბერმუდა | 9.24 | -38 |
| 141 | აზერბაიჯანი | 9.14 | +6 |
| 142 | გრენადა | 9.11 | +1 |
| 143 | იორდანია | 8.87 | -30 |
| 144 | კაბო-ვერდე | 8.84 | +17 |
| 145 | გვატემალა | 8.54 | +4 |
| 146 | ბურუნდი | 8.33 | -20 |
| 147 | ნეპალი | 8.05 | -9 |
| 148 | სვაზილენდი | 7.91 | -23 |
| 149 | ლესოტო | 7.65 | -14 |
| 150 | სენტ კიტსი და ნევისი | 7.61 | +25 |
| 151 | სან-მარინო | 7.35 | -20 |
| 152 | ლაოსი | 7.28 | +8 |
| 153 | ჰაიტი | 7.13 | -21 |
| 154 | მავრიკეთი | 6.49 | -8 |
| 155 | ბოთსვანა | 6.27 | -10 |
| 156 | ტაიტი | 5.83 | -8 |
| 157 | ლიხტენშტეინი | 5.76 | -1 |
| 158 | დომინიკა | 5.53 | — |
| 159 | დომინიკელთა რესპ. | 5.21 | +5 |
| 160 | პაკისტანი | 4.59 | -2 |
| 161 | ბენინი | 4.39 | -18 |
| 162 | გაიანა | 3.02 | -8 |
| 163 | ყაზახეთი | 2.97 | -10 |
| 164 | ტაჯიკეთი | 2.69 | -9 |
| 165 | სომალი | 2.41 | -6 |
| 166 | ფილიპინები | 2.20 | +5 |
| 167 | ბრუნეი | 1.84 | -2 |
| 168 | რუანდა | 1.81 | — |
| 169 | მალდივეთი | 1.38 | -7 |
| 170 | სოლომონის კუნძ. | 1.20 | -7 |
| 171 | არუბა | 1.00 | +2 |
| 172 | ყირგიზეთი | 0.70 | -6 |
| 173 | ბელიზი | 0.68 | — |
| 174 | ნიკარაგუა | 0.55 | -6 |
| 175 | ლიბია | 0.52 | -8 |
| 176 | სეიშელი | 0.46 | -1 |
| 177 | ჯიბუტი | 0.34 | -8 |
| 178 | ტაივანი | 0.11 | -8 |
| 179 | ვანუატუ | 0.03 | -7 |
| 180 | ჩადი | 0.00 | -5 |
| 181 | მაკაო | 0.00 | -5 |
| 182 | ცენტრალური აფრიკა | 0.00 | -6 |
| 183 | კამბოჯა | 0.00 | — |


ბავშვობაში არასოდეს გიოცნებიათ თოვლის პაპაზე? ახლაც ხომ გაგიხარდებოდათ... აისრულეთ თქვენი ბავშვობის ოცნება, თოვლის პაპით მიულოცეთ ახალი წელი თქვენს ძვირფას ახლობლებს!

აკრიფეთ ჯადოსნური ნომერი 95-24-46
და თოვლის პაპა უკვე თქვენთანაა!

საუკეთესო თოვლის პაპები
მხოლოდ ჩვენთან ცალობით თუ ბითუმად

95-24-46 (დილისით), 31-60-95, 51-73-74 (საღამოს)


## დიეგო და კარლოსი დაძმობილდნენ

დღევანდელ მსოფლიოში ყველაფერი სწრაფად იცვლება. სწრაფად იცვლება დიეგო მარადონას გუნება-განწყობაც და, აქედან გამომდინარე, მის შესახებ ინფორმაციაც. „სარბიელის" წინა ნომერში ვწერდით, რომ მას „ბოკა ხუნიორსში" გული აღარ უდგება და პრეს-კონფერენციაზე გუნდიდან წავალო, განაცხადა. ასე წერდა მსოფლიოს ყველა სააგენტო და გაზეთი. ოთხშაბათიდან კი გავრცელდა ცნობა, რომ მარადონას „ბოკაში" დარჩენა სურს და თანახმაა ახალ მწვრთნელთან კარლოს ბილარდოსთან იმუშაოს. სიტყვა ახალი ბილარდოს იმიტომ მოვარგეთ, რომ იგი „ბოკაში" ძველ მწვრთნელს სილვიო მარზოლინის შეცვლის, თორემ დიეგოსთვის ბილარდო აბა, რა ახალია. ისინი ხომ 1986 წელს ერთად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, შემდეგ კი ესპანეთში, „სევილიაში" იყვნენ ერთად. სწორედ იქ გაუტეხეს გული ერთმანეთს და საქვეყნოდ ძვირიც აკადრეს. ამიტომ, „ბოკა ხუნიორსთან" 9-მილიონ დოლარიანი კონტრაქტის დადების შემდეგ მარადონამ რომ შეიტყო, კლუბის პრეზიდენტს, საავტომობილო საქმის მაგნატს მაურიციო მაკრის მწვრთნელად ბილარდო მოჰყავსო, განრისხებულმა გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. მაგრამ როგორც ჩანს, მაკრი ჭკვიანი კაცია. იმდენი მოახერხა, მტრები შეარიგა. ყოველ შემთხვევაში, ის ათქმევინა, ერთად მუშაობას შევძლებთო. ბილარდომ განაცხადა, ერთადერთი, რასაც დიეგოსგან ვითხოვ, ისაა, თამაშებს ნუ გამიცდენსო. მწვრთნელი შეეგუა, რომ მარადონა გუნდში ეყოლება პრვილირეგირებულ ფეხბურთელად, რომელსაც როცა მოესურვება, მაშინ ივარჯიშებს. მან ისიც თქვა, ნამდვილად ვინც მინდა გუნდში, კლაუდიო კანიჯააო. კანიჯა მაკრიმ მარადონასთან ერთად მასავით 9 მილიონად გადაიბირა. ამიერიდან, როგორც კლუბის პრეზიდენტი ამბობს, „ბოკა" ფეხბურთელების ყიდვაზე ფულს აღარ დახარჯავს. ისედაც მრავალი მილიონი დახაჯულა, შედეგი კი დიდი არაფერი — არგენტინის ჩემპიონი გასულ კვირას „ველეჯ სარსფილდი" გახდა. სამაგიეროდ, მაკრის გაუხერხებია კონტრაქტი სპორტული ტანსაცმლის ერთ-ერთ ფირმასთან, რომელიც „ბოკას" ხუთწლიან სპონსორობას ჰპირდება.

## ჟორჟე შვეიცარიაში

პორტუგალიელი არტურ ჟორჟე, რომელიც 199-91 წლებში თავისი ქვეყნის ნაკრებს წვრთნიდა, შემდეგ, 93-94 წლებში „პარი სენ ჟერმენის" ედგა სათავეში, ბოლოს კი ლისაბონის „ბენფიკაში" მუშაობდა, შვეიცარიის ნაკრებს უხელმძღვანელებს. ხუთშაბათს ეს შვეიცარიის ფეხბურთის ასოციაციამ ოფიციალურად განაცხადა, ჟორჟე ამ თანამდებობაზე 1 იანვრიდან დაიწყებს მუშაობას და მისი კონტრაქტი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე გასტანს. შეგახსენებთ, რომ პორტუგალიელის წინამორბედი გახლდათ ინგლისელი როი ჰოჯსონი, რომელიც ოქტომბრიდან მილანის „ინტერს" წვრთნის.

## ისევ „ეიზელზე"

უეფამ გლაზგოელებს პირი უტეხა: თასის ფინალი, 8 მაისს ბრიუსელში გადაიტანა. მიზეზი იმ დღეებში გლაზგოში კარდიოლოგთა მსოფლიო კონგრესი გაიმართება და საეჭვოა, ქალაქის სასტუმროებში ამდენი ხალხი დაეტიოს. მართალია, თავად შოტლანდიელები ამტკიცებენ, დავტევთო, მაგრამ უეფამ შესაძლო გართულებებს თავი აარიდა. ამგვარად, 1985 წლის მერე ევროპული თასის ფინალი ბელგიის დედაქალაქში გაიმართება. თამაშს „როი ბოდუენის" სტადიონი უმასპინძლებს, რომელიც გახლავთ საფუძვლიანად გარემონტებული და სახელგანთქმული... „ეიზელი". სწორედ ის, 85-ში იუვენტუს-ლივერპულის ფინალზე გულშემატკივართა ჩხუბის გამო რომ ჩაინგრა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

# ინგლისი

# მომენტები კი ბლომად ჰქონდათ...

## მანჩესტერ სიტი 1:1 ნოტინგემ ფორესტი

25 660 მაყურებელი

მანჩესტერ სიტი: იმელი, ბრაისველი, ინგრემი, საიმონსი, ქერლი, კერნაგენი (ბრაუნი 75), ლომასი, ქინქლაძე, სამერბი, როსლერი, ქუინი

ნოტინგემ ფორესტი: კროსლი, ფილიპსი, პირსი, კუპერი, ჩეტლი, ბარტ-ვილიამსი, ჯემილი, სტოუნი, კემპბელი (სილენცი 82), ლი, ფონი

გოლი: როსლერი (16), კემპბელი (69)

„სიტის" სტადიონზე, „მეინ როუდზე" აიკე იმელისთვის უგოლო 594 წუთი კემპბელის გოლით დასრულდა. ეს „ნოტინგემ ფორესტთან" მატჩში მოხდა, თამაშის დამთავრებამდე 21 წუთით ადრე. „ნოტინგემმა" გაქვითა და „სიტის" მეოთხე ერთგოლიანი მოგება ჩაუშალა. თავიდან ალან ბოლის გუნდი როსლერმა დააწინაურა. ამით გერმანელმა ფორვარდმა მისი პირადი უიღბლობის პერიოდი დაასრულა, მაგრამ კემპბელმა, რომელიც ტრავმის გამო რამდენიმე მატჩში მოედანზე ვერ გადიოდა, თავისი გუნდის სარეკორდო სვლა (სტუმრად 30 შეხვედრაში მხოლოდ ერთი მარცხი) განაგრძო. ის ერთადერთი მარცხი „ნოტინგემმა" ბლექბერნში იწვნია – 0:7.

მომენტებით უხვ პირველ ტაიმში მეტი გოლი უნდა გასულიყო. შანსები ორივე გუნდს ჰქონდა. როსლერს, აგვისტოდან რომ ვერ გაეტანა, იმ დღეს კიდევ ორის შეგდება შეეძლო. ჯერ ქინქლაძემ, მერე კი ქუინმა შეუქმნეს მომენტები, მაგრამ ორჯერვე სტუმართა მეკარემ იმარჯვა. ქუინმა და ლომასმაც ვერ გაზარდეს ანგარიში. თავის მხრივ, „ფორესტის" ჯეისონ ლის ორი ისეთი შანსი მიეცა, მანამდე მთელს სეზონში რომ არ ჰქონია, მაგრამ ვერც ამან იხეირა. პირველ შემთხვევაში თავად ფორვარდიც გაოცდა, საჯარიმოს ხაზთან იმელმა ისე მოახერხა ხელის შეშლა. განმეორებითი დარტყმა კი მეკარესთან იმდენად ახლოს მოუვიდა, რომ აქ გერმანელი გოლკიპერი, რომელმაც „სიტის" აწ უკვე გამოჯანმრთელებული სხვა მეკარე ტონი კოტონი შემადგენლობიდან საბოლოოდ ამოაგდო, არ შეცდებოდა.

მეორეჯერ დევიდ ფილიპსმა მარჯვნიდან იდეალური პასი მიაწოდა. ბურთი მასპინძელთა მცველებს გადასცდა და საჯარიმოში ლის მომარჯვებულ თავზე დასკუპდა, მაგრამ რატომღაც ბადეში კი არ შევარდა, შორეულ ძელს მოხვდა. „სიტის" მაშინაც გაუმართლა, კიტ საიმონსი იმელს რომ უნებურად გადაელობა, ფონის თაური კი ასცდა.

„ნოტინგემმა" მეორე ტაიმშიც შექმნა ხელსაყრელი მომენტები. შოტლანდიელმა ნახევარმცველმა ჯემილმა მისი კაპიტნის სტიუარტ პირსის მიერ ძელს მორტყმულს უმარტივესი სიტუაციიდან ველარ დაამატა. თითქმის დათარსულ სტუმრებს ველარც უნდა გაეთანაბრებინათ, მაგრამ 64-ე წუთიდან იმდენი კუთხური ჩააწოდეს, რომ ერთ-ერთი გოლად იქცა. ჯემილის ჩაკიდული



რონი ეკელუნდი

ლიმ კემპბელს გადაუგდო და ამანაც გაქვითა. ეს წლეულს „არსენალიდან" გადმოსული ამ ფეხბურთელის მეორე გოლი იყო მეშვიდე მატჩში.

რაც შეეხება „სიტის" ყიდვა-გაყიდვის საქმიანობას, აქ კვლავ სიახლეა. „ბარსელონამ", ვისთანაც „სიტიმ" ვერ მოილაპარაკა პაჯისა და კრისტენსენის თაობაზე, შედარებით იოლად დათმო 23 წლის დანიელი ნახევარმცველი რონი ეკელუნდი და ორი თვით ათხოვა ალან ბოლს. დანიის ქალაქ გლოსტრუპში დაბადებული ეკელუნდი 1992 წელს „ბარსამ" „ბრონდბიუსგან" იყიდა, მაგრამ ძირითადად სათადარიგო გუნდში ათამაშებდა. შარშან, ასევე ცოტა ხნით რონიმ „საუთჰემპტონში" წაითამაშა და ალბათ სწორედ მაშინ მოაწონა თავი ალან ბოლს, ვინც გასულ სეზონში სწორედ „საუთჰემპტონს" წვრთნიდა. ისე, „მანჩესტერ სიტისა" და „ბარსელონას", ეტყობა, მჭიდრო კონტაქტები აკავშირებთ; ამიტომ სავსებით შესაძლებელია, გიორგი ქინქლაძე, ვისითაც „მილანიც" კი დაინტერესებულა, ახალი სეზონიდან კრუიფის გუნდში აღმოჩნდეს.

## ესპანეთი

მე-18 ტური. ალბასეტე — ატლეტიკი 2:0; სოსიედადი — ტენერიფე 0:1; სანტანდერი — სალამანკა 2:1; ატლეტიკო — კომპოსტელა 3:0; ხიხონი — ვალენსია 1:3; სევილია — ბარსელონა 1:0; ესპანიოლი — ბეტისი 1:1; სელტა — ოვიედო 1:0; ვალიადოლიდი — რაიო ვალეკანო 1:1; მერიდა — სარაგოსა 1:1. დეპორტივო — რეალი ნუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 18 | 13 | 3 | 2 | 32:7 | 42 |
| ესპანიოლი | 18 | 11 | 5 | 2 | 27:11 | 38 |
| ბარსელონა | 18 | 10 | 5 | 3 | 37:16 | 35 |
| კომპოსტელა | 18 | 10 | 3 | 5 | 25:21 | 33 |
| ბეტისი | 18 | 7 | 9 | 2 | 28:20 | 30 |
| ვალენსია | 18 | 9 | 3 | 6 | 30:24 | 30 |
| რეალი | 17 | 8 | 4 | 5 | 29:21 | 28 |
| ტენერიფე | 18 | 6 | 8 | 4 | 27:30 | 26 |
| დეპორტივო | 17 | 7 | 3 | 7 | 28:17 | 24 |
| ატლეტიკი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:23 | 23 |
| სარაგოსა | 18 | 6 | 5 | 7 | 17:23 | 23 |
| სევილია | 18 | 5 | 7 | 6 | 19:26 | 22 |
| სელტა | 18 | 5 | 6 | 7 | 17:21 | 21 |
| ხიხონი | 18 | 6 | 2 | 10 | 23:24 | 20 |
| ოვიედო | 18 | 5 | 5 | 8 | 19:27 | 20 |
| სანტანდერი | 18 | 5 | 5 | 8 | 17:30 | 20 |
| ალბასეტე | 18 | 5 | 4 | 9 | 23:31 | 19 |
| სოსიედადი | 18 | 5 | 4 | 9 | 21:29 | 19 |
| სალამანკა | 18 | 4 | 6 | 8 | 24:28 | 18 |
| მერიდა | 18 | 3 | 8 | 7 | 14:22 | 17 |
| რაიო ვალეკანო | 18 | 4 | 3 | 11 | 16:33 | 15 |
| ვალიადოლიდი | 18 | 2 | 7 | 9 | 19:28 | 13 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:15 | 42 |
| მანჩესტერ იუნ. | 18 | 10 | 5 | 3 | 35:19 | 35 |
| ტოტენჰემი | 18 | 9 | 6 | 3 | 24:17 | 33 |
| ასტონ ვილა | 18 | 9 | 5 | 4 | 25:14 | 32 |
| ლივერპული | 18 | 9 | 4 | 5 | 31:15 | 31 |
| არსენალი | 18 | 8 | 7 | 3 | 23:12 | 31 |
| მიდლსბრო | 18 | 8 | 6 | 4 | 19:12 | 30 |
| ნოტინგემი | 17 | 6 | 10 | 1 | 27:24 | 28 |
| ლიდსი | 17 | 7 | 4 | 6 | 23:24 | 25 |
| ჩელსი | 18 | 6 | 7 | 5 | 17:19 | 25 |
| ბლექბერნი | 18 | 7 | 3 | 8 | 28:24 | 24 |
| ევერტონი | 18 | 6 | 5 | 7 | 22:20 | 23 |
| ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:24 | 23 |
| შეფილდი | 18 | 5 | 6 | 7 | 26:27 | 21 |
| საუთჰემპტონი | 18 | 4 | 5 | 9 | 17:28 | 17 |
| მანჩესტერ სიტი | 18 | 4 | 4 | 10 | 10:27 | 16 |
| ქუინზ პარკი | 18 | 4 | 3 | 11 | 14:26 | 15 |
| უიმბლდონი | 18 | 3 | 5 | 10 | 23:38 | 14 |
| ქოვენთრი | 18 | 2 | 6 | 10 | 23:40 | 12 |
| ბოლტონი | 18 | 2 | 3 | 13 | 16:34 | 9 |


# საფეხბურთო ტოტალიზატორი
# ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი №13 (23-25 დეკემბერი)

| | | |
|---|---|---|
| 1. | ფიორენტინა — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2. | იუვენტუსი — რომა | იტალიის ჩემპიონატი |
| 3. | პარმა — ვიჩენცა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4. | სამპდორია — ნაპოლი | იტალიის ჩემპიონატი |
| 5. | იტალია — კალიარი | იტალიის ჩემპიონატი |
| 6. | კრემონეზე — ტორინო | იტალიის ჩემპონატი |
| 7. | ლაციო — ატალანტა | იტალიის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს 23 დეკემბერს 16.00 სთ-ზე.

№12 ტირაჟის შედეგები:

1. 1-1 2. 1-0 3. 1-1 4. 0-2 5. 0-1 6. 1-0 7. 1-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 210 ლარი (1 ვარიანტი). ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1025 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. JACK POT — 1310 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან(ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, სამგორი და ახმეტელი.

ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი. მოგებები გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი" 11-დან 14 სთ-მდე.




# ბობი ფიშერი ელისტაში სახლის აშენებას აპირებს

30 ნოემბერს „სპორტ-ექსპრესში" გამოქვეყნდა ინტერვიუ ფიდეს ახალ პრეზიდენტთან კირსან ილუმჟინოვთან. როცა ილუმჟინოვს ფიშერის შესახებ ვკითხეთ, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ფიშერი ამას წაიკითხავდა და გამოეხმაურებოდა... მაგრამ ზუსტად ასე მოხდა. „პასადენელი განდეგილი", ახლა კი „ბუდაპეშტელი ტყვე", რომელიც სპასკისთან „XX საუკუნის მატჩ-რევანშის" შემდეგ გაყუჩდა და თითქოს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, გამოეხმაურა „სპორტ-ექსპრესის" წერილს! თუმცა ვიკმაროთ შესავალი და სიტყვა ილუმჟინოვს მივცეთ:

— „სპორტ-ექსპრესთან" საუბარში ვთქვი, რომ მზად ვარ დაუყოვნებლივ გადავუხადო ფიშერს მისი წიგნის „ჩემი სამახსოვრო 60 პარტიის" ვალი, რომელიც საბჭოთა გამომცემლებს დაედოთ. ინტერვიუ ბევრმა უცხოურმა გამოცემამ გადაბეჭდა, ბუდაპეშტში კი ფიშერმაც წაიკითხა. ბუდაპეშტიდან დიდოსტატ ანდრე ლილიენტალის მეუღლემ ოლგამ დამირეკა (ფიშერი ხშირად სტუმრობს მათთან) და მითხრა, რომ ბობ ძალიან ნასიამოვნებია. არა, ფულით არა. უთქვამს, რომ ფული არ აინტერესებს. ფიშერს ის ესიამოვნა, რომ ვალის გადახდა ვიკისრე და საბჭოთა გამომცემლებისგან მიყენებული ძველი წყენის გაქარწყლება მოვინდომე. ფიშერი თვლის, რომ საბჭოთა გამომცემლები მეკობრეებივით მოექცნენ მის გენიალურ წიგნს. ოლგამ მითხრა, რომ დღეს საღამოს ფიშერი ჩვენთან იქნება და, დაგვირეკეთო, შემომთავაზა. ბობი თავად არ დაგირეკავს, მეტისმეტად მორცხვი კაციაო.

ვრეკავ საღამოს. ყურმილს ოლგა ლილიენტალი იღებს. უძახის ბობის. ფიშერი თურმე ჯერ სავარძელს მიეწება, შემდეგ კი ნამეტანი დამორცხვებული მისულა ტელეფონთან. და აქ გავიგე ფიშერის, ჩემი ბავშვობისა და ყრმობის კერპის ხმა

— **ალბათ, გულმა რეჩხი გიყოთ—ღელავდით?**

— აბა რა! ვერ გადმოგცემთ, რაც განვიცადე. ფიშერი მარტო გენიალური მოჭადრაკე ხომ არ არის. იგი სიწმინდის, პატიოსნების და თავისი ხელოვნებისადმი აბსოლუტურად უკომპრომისო დამოკიდებულების სიმბოლოა. იგი ისეთი მასშტაბის კაცია, როგორიც მოცარტი - მუსიკაში, ეინშტეინი — მეცნიერებაში. ბედნიერი ვიყავი და ფიშერს ეს ვუთხარი კიდეც. ვიგრძენი, ისიც ნასიამოვნები იყო. ვუთხარი, რომ მასთან შეხვედრა, საბჭოთა გამომცემლების ვალის — ასი ათასი დოლარის გადახდა და საუბარი მსურდა. ბობიმ მიპასუხა: „ფული არ მაღელვებს, მთავარი სხვა რამაა. ამერიკული ტელევიზია აკეთებს გადაცემათა ციკლს „ბობი ფიშერი გვასწავლის ჭადრაკის თამაშს", ისე, რომ არაფერს დამკითხვიან.წერენ წიგნს, მერე იღებენ ფილმსაც „ბობი ფიშერის ნაკვალევზე". ჩემი სახელით აკეთებენ ფულს, მაგრამ სახელის გამოყენებისთვის ჩემთვის ფული არავის გადაუხდია.თქვენი საქციელი კი რაღაც აბსოლუტურად საპირისპიროა. ამან კი ძალიან გამახარა."

დავიწყეთ შესახვედრად მოლაპარაკება, ფიშერი მეკითხება: „მალე შობაა, ალბათ, ახალი წლის შემდეგ შევხვდებით?" ვპასუხობ: „რატომ ვიცადოთ ამდენი ხანი? პარიზში საქმეები მაქვს, შემიძლია გზად ბუდაპეშტში შემოგიაროთ".

— **და აი, თქვენ შეხვდით. როგორ მოხდა ეს? რა იყო მისი პირველი სიტყვები?**

— პარასკევს საღამოს, როცა თვითმფრინავიდან ჩამოვედი და მესაზღვრეებს გავცდი, ბობი დავინახე. მაღალი, წვეროსანი კაცი, ჯინსებში, სვიტრსა და ქურთუკში გამოწყობილი. თავზე ტყავის კეპი ეხურა, იღლიაში კი ჟურნალ-გაზეთების დასტა ამოეჩარა. მივესალმეთ ერთმანეთს, გადავკოცნეთ. სხვათა შორის, ბობი ნორმალურად ლაპარაკობს რუსულად. მეუბნება: „თქვენ ამინდი შეუკვეთეთ. აქამდე ბუდაპეშტში ორი კვირა ნისლი და წვიმა იყო. დღეს კი პირველად გამოანათა მზემ". შემდეგ თავს დამატყდა აურაცხელი კითხვები რუსეთზე, ყალმუხეთზე, ეკონომიკურ პრობლემებზე, ეკოლოგიაზე, პოლიტიკაზე... განმაცვიფრა იმან, რომ ფიშერი ყველა ჩვენი საქმის კურსში იყო. მან დაასახელა ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეების, მთავრობის წევრთა გვარები. დაინტერესდა, რას ვფიქრობდი საარჩევნოდ ძალთა განლაგებაზე. მანქანაში ფიშერმა მკითხა, ჭადრაკისთვის ახალი წესები რომ მოვიგონე, ამაზე თუ იცი რამეო. „ფიშერის ჭადრაკის" არსებობა ვიცოდი, მეტი — არაფერი. ბობიმ ჯიბიდან ამოიღო დაბეჭდილი წესები და მათში გამარკვია. როცა ლილიენტალების ბინაში მივედით, დაფა მოიტანა და ყველაფერი პრაქტიკულადაც მაჩვენა. ანდრე ლილიენტალმა მითხრა: „ბობი მაიძულებს ახალი ჭადრაკის თამაშს. მე ვეუბნები — ძველში ვერ გავრკვეულვარ ხეირიანად, შენ კიდევ ახალს მასწავლი?"

— **„ფიშერის ჭადრაკში" პაიკები თავის ადგილას დგანან, როგორც ჩვეულებრივ ჭადრაკში, ხოლო ფიგურების განლაგება კომპიუტერის მიერ შემოთავაზებული ვარიანტით ხდება.**

— დიახ, არსებობს ფიგურების განლაგების 950 ვარიანტი. ყოველ ჯერზე რაღაც ახალი გამოდის.ფიშერი თვლის, რომ ძველი ჭადრაკი მოკვდა, თავი ამოწურა, საჭიროა ახალი ჭადრაკის თამაში. ველაპარაკე ფიდეში ახალი წევრების მიღების, ჭადრაკის პოპულარიზაციის შესახებ, პასუხად კი მეუბნება „თქვენ ყველაფერს სწორად აკეთებთ, მაგრამ ახლა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში და აფრიკაში რომ წახვალთ, ეგრევე ასწავლეთ. ახალი ჭადრაკის თამაში. რატომ უნდა შესთავაზოთ მათ შავ-თეთრი ტელევიზორი, როცა არსებობს ფერადი? დაე, ცივილიზაციის უახლესი მიღწევებით ისარგებლონ". შევეპასუხე, ჭადრაკი ხალხს ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ასწავლო, მთელი ლიტერატურა ჭადრაკის შესახებ ხომ „ძველია". ძველი ოსტატების პარტიები, კლასიკა — ამას ხომ უდიდესი პედაგოგიური ეფექტი აქვს... მოკლედ, დიდხანს ვიკამათეთ. ფიშერს წაუკითხავს, რომ ჩემი საყვარელი კერძი პელმენებია და ოლგასთვის წინდაწინ უთხოვია მათი მომზადება. მე კი ყალმუხური შავი ხიზილალით გავუმასპინძლდი ბობის. გაირკვა, რომ ეს მისი საყვარელი დელიკატესია და ჩვენს პროდუქტს მაღალი შეფასება მისცა.

შემდეგ „ფიშერის ჭადრაკი" ვითამაშეთ,ოთხი პარტია. სულ ყურებს ვისრესდი: ხომ არ მესიზმრება— —ფიშერთან ერთად შამპანურს ვსვამ, ჭადრაკს ვთამაშობ... ამგვარ სასწაულზე ვერც ვიოცნებებდი.

— **არის ფიშერის ჭადრაკში დაბრუნების იმედი? როგორ შეატყვეთ?**

— არის. იგი მზადაა ითამაშოს. ფიშერმა, როგორც ფიდეს პრეზიდენტს მთხოვა, მოვაწყო ტურნირი ახალი წესებით, ასეთ ტურნირში იგი ითამაშებს.

— **დღეს კარპოვს ვესაუბრე და ვკითხე, ამგვარ ტურნირში ფიშერთან თუ ითამაშებდა. კარპოვმა თქვა: რატომაც არა. თუკი ფიშერი დაბრუნდება, კარპოვი მზადაა „ფიშერის ჭადრაკი" ეთამაშოს...**

— ვფიქრობ, ამგვარ ტურნირს მოვაწყობთ. ფიშერი დამთანხმდა, გაზაფხულზე ყალმუხეთში გვეწვიოს. მით უმეტეს, მას ჩვენი მერიიდან საბუთები ჩავუტანე, სადაც წერია, რომ რობერტ ჯეიმს ფიშერს ელისტის პირველ მიკრორაიონში გამოეყო ნახევარი ჰექტარი მიწა. ვუთხარი: „ბობი, ახლა ამ ქვეყანაზე გაქვს ისეთი ადგილი, სადაც ვერავინ ვერასდროს მოგაგნებს. აი, შენ ეს სახლი და დაისვენე".

— **მერე, დაინტერესდა ფიშერი ელისტის მიკრორაიონში სახლის მშენებლობით?**

— ფიშერმა ყურადღებით შეისწავლა დოკუმენტი, თითოეული სტრიქონი, თითოეული სიტყვა. დაინტერესდა, სად არის პირველი მიკრორაიონი, არის თუ არა იქ სიმწვანე, როგორაა სამედიცინო დაწესებულებების საქმე. მკითხა, რა ღირს საშენი მასალები. ანგარიშობდა, რა დაჯდება ორ-სამსართულიანი სახლის აშენება... მთელი საღამოს განმავლობაში ამ თემას უბრუნდებოდა. მომეჩვენა,რომ დაინტერესდა.

— **ნახსენები ასი ათასი დოლარი თუ მიეცით ბობის?**

— დიახ. როცა გადავეცი დოკუმენტი მიწის შესახებ, უმალვე „ჭადრაკის გენიის" სადღეგრძელო შევსვი. რუსეთის ჭადრაკის მოყვარულების სახელით ვთხოვე, დაევიწყებინა ძველი წყენა მისი წიგნის მეკობრეულად გამოცემის გამო: კომპენსაციის სახით, ვთხოვე მიეღო ასი ათასი დოლარი ნაღდი ფულით. ფიშერი ნასიამოვნები და გაოგნებული იყო. გაიმეორა, რომ ყველაზე მეტად ჩემი მხრიდან ამ პრობლემისადმი გამოჩენილმა ყურადღებამ შესძრა. მოკლედ, ბობისთან მთელი ღამე ვისაუბრე. მან თვითმფრინავის ტრაპამდე მიმაცილა. მომცა თავისი მკაცრად გასაიდუმლოებული ტელეფონის ნომრები,რომლებსაც,ანდრე ლილიენტალის თქმით, არავის აძლევს. ჩაიწერა ყველა ჩემი ტელეფონი.ჩაინიშნა როდის და სად ვარ ხოლმე, როგორ უფრო ადვილია ჩემი „გამოჭერა". უახლოეს ხანში შეხვედრაზე მოვილაპარაკეთ. ვფიქრობ, ეს გაზაფხულზე მოხდება, ყალმუხეთში.

— **ყველაზე მეტად ფიშერში რამ გაგაოცათ?**

— იმან, რომ იგი მხიარული, ხალისიანი და სიცოცხლით სავსე კაცია! ალალი, გულღია,უეშმაკო. მის შესახებ ხომ ათასგვარ ტყუილს ვკითხულობდით: აქაოდა, თითქმის გიჟია, ჭადრაკისგან ჭკუაზე შემცდარი. სრულებითაც არა. მან ბევრი იცის და აინტერესებს აბსოლუტურად ყველაფერი, რაც კი მსოფლიოში ხდება. ხოლო იმდენ გამოცემას, რასაც იგი ეცნობა დასწავლობს, მხოლოდ სერიოზულ ბიბლიოთეკაში თუ ნახავ. ბობი — ფენომენალური ადამიანია!

**იური ვასილიევი,**
**„სპორტ-ექსპრესი",**
**20 დეკემბერი**



# ერთი ჩვენია, ორი - მეზობლის

მოსკოვში, 14-17 დეკემბერს, რუსეთის კრივის 100 წლისთავის აღსანიშნავად გაიმართა A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. რუსეთიდან დაბრუნებულ ჩვენი კრივის ფედერაციის გენერალურ მდივანს ზურაბ კიკნაველიძეს ვთხოვეთ მოეთხრო ჩვენი მოკრივეების შედეგებზე.

— ტურნირში 19 ქვეყანა მონაწილეობდა. რუსეთს თორმეტივე წონაში ორ-ორი მოკრივე ჰყავდა, ამერიკელებმა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები ჩამოიყვანეს.ჩვენგან სამი სპორტსმენი გამოდიოდა: ფოთელი კობა გოგოლაძე (60კგ.), ქუთაისელი თენგიზ მესხაძე (67) და გორელი გიორგი კანდელაკი (91). წილისყრამ პირველსავე ორთაბრძოლაში სამივე ამერიკელებს შეახვედრა. მესხაძემ და კანდელაკმა მეტოქეები დაამარცხეს, მაგრამ რადგან 67 კგ-ში ათი მოკრივე მონაწილეობდა, მესხაძე ამ მოგებით მხოლოდ მეოთხედფინალში გავიდა, კანდელაკი კი ნახევარფინალში აღმოჩნდა. კობა გოგოლაძე იმ დღეს ისვენებდა, მეორე დღეს კი, თუმცა მეტოქეს აშკარად აჯობა, მოგება მაინც ამერიკელს მიაკუთვნეს. ამ გადაწყვეტილებამ მაყურებლის აღშფოთება გამოიწვია.

თენგიზ მესხაძეს მეოთხედფინალში ფინელი მოკრივე უნდა შეხვედროდა, მაგრამ არ გამოუცხადდა. მომდევნო მეტოქესთან, რუს გოგოლევთან თენგიზი დამარცხდა, გოგოლევი კი ჩემპიონი გახდა. თენგიზმა ტურნირამდე ერთი კვირა იავადმყოფა და ამან უეჭველია კვალი დაატყო მის გამოსვლას. მესხაძეს მონდომება არ დაუკლია, მაგრამ თავისი ასპარეზობით და მესამე ადგილით მაინც უკმაყოფილო დარჩა.

კანდელაკმა ნახევარფინალში რუსეთის პირველი ნომერი კშინინი გალახა, ფინალშიც რუს როსლინს აჯობა და გამარჯვებულისთვის განკუთვნილი 2000 დოლარი და „პანასონიკის" ფირმის ტელევიზორიც მიიღო.

ამ ტურნირზე ქართველი მსაჯიც იყო. ფოთელმა ზურაბ ტიგუამ ოქტომბერში ევროპის კრივის ასოციაციის სემინარები გაიარა თურქეთში, პრაქტიკულ-თეორიული გამოცდებიც ჩააბარა და ამ ასოციაციის მსაჯის წოდებაც მოიპოვა. მოსკოვში ზურაბმა 27 შეხვედრა იმსაჯა.

რამაზ ფალიანი (57) და პაატა გვასალია (60) რუსეთის ნაკრებში ირიცხებიან და შესანიშნავად არიან მომზადებულნი — ორივე პირველ ადგილზე გავიდა.

აკაკი კაკაურიძის (75) წაყვანისგან ამჯერად თავი შევიკავეთ. იგი ინტენსიურად ემზადება და 10-15 იანვარს შვედეთის ტურნირზე უკვე ჩვენთან იქნება. ევროპის ჩემპიონატისთვის იმედია ფორმაში ჩადგება და ოლიმპიადის ლიცენზიასაც მოიპოვებს.

— **ჯერჯერობით ჩვენი მოკრივეების მთავარი მიზანი სწორედ ოლიმპიადის ლიცენზიების მოპოვებაა, რომლებიც გაისად დანიაში, ევროპის ჩემპიონატზე გათამაშდება...**

— ოლიმპიადის საგზურს ევროპის ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გასული სპორტსმენები მიიღებენ. ჩვენი ოლიმპიური კომიტეტისა და სპორტის დეპარტამენტის შეწევნით 10-15იანვარს მივემგზავრებით შვეციაში საერთაშორისო ტურნირზე, შემდეგ, თებერვლის დასაწყისიდან ორკვირიან შეკრებას ვგეგმავთ ბულგარეთში, რომლის მერეც იქვე გამართულ ტურნირშიც ვიასპარეზებთ. 28 თებერვლიდან 3 მარტამდე გერმანიის ქალაქ ჰალეში ტარდება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. სწორედ აქ გამოჩნდება ჩვენი გუნდის მომზადების დონე. ზედმეტი ხარჯებისა და მგზავრობის თავიდან ასაცილებლად გვიჯობს ბულგარეთშივე დავრჩეთ და იქიდან გავემგზავროთ ჰალეში.

ევროპის ჩემპიონატამდე 24-დღიან შეკრებას გავივლით ბელარუსის ოლიმპიურ ბაზაზე სტაიკებში და ამით დასრულდება ჩვენი ოლიმპიადამდელი სატურნირო და საშეკრებო მარათონი.

**ერეკლე კიკილაშვილი**

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური

23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ქოვენთრი — ევერტონი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ლივერპული — არსენალი | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| მანჩესტერ სიტი — ჩელსი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| მიდლსბრო — ვესტ ჰემი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ნიუკასლი — ნოტინგემი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ქუინზ პარკი — ასტონ ვილა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შეფილდი — საუთჰემპტონი | 1,3 | 2,9 | 5,3 |
| ტოტენჰემი — ბოლტონი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| უიმბლდონი — ბლექბერნი | 2,2 | 2,6 | 2,2 |

24 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლიდსი — მანჩესტერ იუნ. | 1,9 | 2,6 | 2,6 |

იტალიის ჩემპიონატი. XV ტური

23 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| კრემონეზე — ტორინო | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ფიორენტინა — მილანი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| ინტერი — კალიარი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| იუვენტუსი — რომა | 1,3 | 2,7 | 6,0 |
| ლაციო — ატალანტა | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| პადოვა — პიაჩენცა | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| პარმა — ვიჩენცა | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| სამპდორია — ნაპოლი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| უდინეზე — ბარი | 1,25 | 3,0 | 5,6 |

გოლების რაოდენობა

ინგლისი.,25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

იტალია. 21 და ნაკლები — 1,9; 23 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | | | | | | | | | 1-1 | | | 0-1 | | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | | | 0-0 | | | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | | | 3-1 | | | | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | | ■ | 4-1 | | | | | 2-0 | | 4-1 | 1-1 | | | | 4-1 | | | 1-0 | | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | | | 4-0 | | | | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | | 2-1 | 2-1 | ■ | | 4-0 | | 1-0 | | 4-1 | | | | | 0-0 | | | | | | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | | | | | ■ | | | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | | 2-3 | | 3-1 | | | 4-2 | 1-0 | |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | | 1-0 | ■ | | | | | 2-3 | 2-3 | | | 2-0 | | | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | | | 4-1 | | | | | | | | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | | | | 2-0 | | | ■ | 1-5 | | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | | 3-2 | | | |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | | ■ | 2-3 | | | 3-2 | | | 4-1 | 2-0 | | | | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | | | 0-0 | | 1-0 | | | 2-0 | | ■ | 2-1 | | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | |
| 12 | RACING SANTANDER | | | | | | | | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | |
| 13 | REAL ZARAGOZA | | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | | | 1-0 | | ■ | 1-2 | | | 0-1 | 0-2 | | | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | | 2-1 | | 1-1 | | | ■ | | | | | | | | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | | 0-0 | | | 3-1 | 3-1 | ■ | | | 3-3 | | | | |
| 16 | SALAMANCA | | | | 2-1 | | | | | | 0-2 | | | 0-1 | | 2-1 | ■ | | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | |
| 17 | SEVILLA FC | | 0-3 | | | | | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 1-1 | | 2-2 | | 3-3 | | | | | | | ■ | | | | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | | 3-1 | 5-2 | | | | | 4-3 | | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 2-2 | | ■ | 1-0 | | |
| 20 | REAL VALLADOLID | | | 0-2 | | 0-0 | | | 0-1 | | | | | | 3-0 | | | 3-3 | 3-0 | | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | | | | | 0-1 | | 0-0 | 0-3 | 2-0 | | | | | 1-1 | | | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | | | | 1-0 | 0-2 | | | | | 3-1 | | | 1-1 | 0-0 | | | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA BERGAMO | ■ | | | | | | | 1-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | | | | 0-0 | | |
| 2 | AS BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | | | 1-0 | | 1-1 | | | | | 3-3 | | | | |
| 3 | US CAGLIARI | | | ■ | 1-0 | | | | | | | | | 0-2 | 0-1 | | | | 0-0 |
| 4 | US CREMONESE | 1-1 | | | ■ | | 0-0 | | | | | 0-2 | | 0-1 | | | | | |
| 5 | AC FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | | | | | | | | | 2-0 | 2:0 | | | |
| 6 | SAMPDORIA | | | 1-2 | | 2-1 | ■ | | 0-0 | | | 3-0 | | 1-1 | | | | | |
| 7 | AC MILAN | 3-0 | | | 3-2 | | | ■ | | | | | | | | | 2-1 | | 2-1 |
| 8 | INTER MILANO | | | | | | | 1-1 | ■ | | | | 0-0 | | 0-0 | 4-0 | | 1-0 | |
| 9 | SSC NAPOLI | | | | 0-0 | 0-2 | | | 2-1 | ■ | 2-0 | | | | | | | | |
| 10 | AC PADOVA | | | | | | | 1-2 | | | ■ | 1-3 | | | | 1-1 | | | |
| 11 | AC PARMA | | | | | 3-0 | 1-1 | | 2-1 | | | ■ | 3-2 | | | | | 1-0 | |
| 12 | PIACENZA | | 3-2 | | | | 3-2 | | | 0-1 | | | ■ | | | | | | 0-4 |
| 13 | AS ROMA | 0-1 | | | | | | 1-2 | | | | 1-1 | | ■ | 0-0 | | | | |
| 14 | LAZIO ROMA | | | | | | | | | | 2-0 | | 4-1 | | ■ | | 2-2 | | 4-0 |
| 15 | AC TORINO | | 3-1 | | | | 1-1 | | | 0-0 | | | | 2-2 | | ■ | | 1-0 | |
| 16 | UDINESE | | | 1-0 | 3-2 | | | | | | | | | | | 1-0 | ■ | 1-1 | 1-0 |
| 17 | VICENZA | | 2-0 | | | 1-0 | | 1-1 | | | 2-1 | | 1-1 | | | | | ■ | |
| 18 | JUVENTUS TORINO | | | | 4-1 | | | | | 1-1 | 3-1 | | | | | | | 1-0 | ■ |


# ვისაც სურს გახდეს

ჟურნალისტი,

ფოტორეპორტიორი,

გაიგოს, როგორ კეთდება გაზეთი

## «ოაზისი»

გაზეთი მოზარდებისთვის

აცხადებს კონკურს

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გოგონებსა და ვაჟებს 13 წლიდან 16 წლამდე. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ნებისმიერ თემაზე შესრულებული სტატია 2-3 თაბახი (პროგრამული თემები არ მიიღება).

„ოაზისის" პირველი ნომერი გამოვა 1996 წლის თებერვალში. გაზეთის რედაქცია შეიქმნება გამარჯვებული მოზარდებით, რომლებიც პოპულარული გაზეთებიდან მოწვეულ ჟურნალისტებთან ერთად იმუშავებენ გაზეთის გამოშვებაზე.

სტატიები წარმოადგინეთ მისამართზე:

მარჯანიშვილის 5 (უნივერმაღის გვერდით), III სართული ოთახი 313, 2-დან 4-საათამდე.

ტელ: 96-91-73

# მას ამერიკაში იტოვებდნენ. სამწუხაროდ, 1959 წელს...



## გურამ მინაშვილი

„მინაშვილი გურამ ვარლამის ძე, დაიბადა 1936 წლის 25 ნოემბერს თბილისში. 1962 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. სპორტის დამსახურებული ოსტატი (1965). ევროპის სამგზის (1957, 1959, 1963) ჩემპიონი. მაირანოს თასის გათამაშების (იტალია) საუკეთესო მოთამაშე (1958), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962). მე-17 ოლიმპიური თამაშების (1960, რომი) ვერცხლის და მსოფლიოს ჩემპიონატის (1963, ბრაზილია) ბრინჯაოს პრიზიორი. დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენით („ქართული საბჭოთა ენციკლოპედია"-ტომი VI).

დღეს: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზკულტურისა და სპორტის კათედრის გამგე. საკალათბურთო გუნდის „სტუს" მწვრთნელი. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი."

**— ბატონო გურამ, რატომ გახდით მაინცდამაინც კალათბურთელი?**

— ჩემი ახალგაზრდობა დაემთხვა 50-იან წლებს. მაშინ ახალგაზრდობა ძალიან მიეძალა სპორტს. მარტო კალათბურთზე როდი დავდიოდი. ვცურავდი კიდეც. ჩემი მწვრთნელი იყო შესანიშნავი პედაგოგი ლუკა იოაკიმიდი, მაგრამ ცურვა მაინცდამაინც არ მიზიდავდა, მოსაბეზრებელი იყო. მეტყოდა ბატონი ლუკა, მოდი, კილომეტრი ხელების გარეშე გაცურე, მერე კილომეტრი — ფეხების გარეშე. არ იყო ეს ჩემი ხასიათის შესაბამისი სპორტი. თუმცა, ბატონი ლუკა სამჯერ იყო ჩემს ოჯახში და მშობლებს უთხრა: ცურვაზე დატოვეთ და ამისგან ჩემპიონს გამოვიყვანო. მე კი ცურვა არ მინდოდა, უკვე კალათბურთისკენ ვიხედებოდი. ისიც გაითვალისწინეთ, რომ იმ დროს კალათბურთის დიდი ბუმი იყო — ოთარ ქორქია და ნოდარ ჯორჯიკია უკვე ვარსკვლავები იყვნენ. მე რომ კალათბურთზე სიარული დავიწყე, ამ ხალხზე ლეგენდებს ყვებოდნენ. თანაც, კალათბურთი სათამაშო სახეობაა და, როგორც უკვე ქართველს, მეც იქით გამიწია გულმა.

**— გამოდის, რომ თქვენი კალათბურთში მოსვლა კანონზომიერი ყოფილა.**

— შეიძლება ასეც იყო, მაგრამ ბევრი სასიკეთო დამთხვევაც მოხდა. მაგალითად, ჩვენს სკოლაში, ამჟამად 55-ში, მაშინ კი მე-6 ვაჟთაში, ფიზკულტურის მასწავლებლად მოვიდა ბატონი ვახტანგ მარსაგიშვილი. დიდებული კაცი იყო. იმდენად ააფორიაქა სკოლის სპორტული ცხოვრება, რომ გვსურდა თუ არა, რამე სპორტულ სექციაში უნდა ჩავწერილვიყავით. მე კალათბურთში მოვხვდი. მაშინ უნივერსიტეტის სიახლოვეს ვცხოვრობდი, ხოლო შალვა დიასამიძეს ამ სასწავლებელში უკვე ჯგუფები ჰყავდა. მთელი ჩემი ეზო ბატონ შალვასთან ვვარჯიშობდით. დიასამიძე იმ დროს უკვე დიდი მწვრთნელი იყო, თანაც მეტად პროგრესული კაცი. მახსოვს, ერთხელ ავად გახდა. მივედით მოწაფეები სანახავად და მის ბიბლიოთეკაში რამდენიმე საკალათბურთო წიგნი აღმოვაჩინეთ ინგლისურ ენაზე. ეს იმ დროს, 40-იანი წლების ბოლოს, როცა არათუ საკალათბურთო, ნებისმიერი წიგნი ინგლისურ ენაზე უმრავლესობას ნანახიც არ ჰქონდა.

**— თქვენი ბიოგრაფიის გაცნობისას ერთია თვალში საცემი: ძალზე ახალგაზრდამ ბევრ რამეს მიაღწიეთ...**

— კი, მაგრამ ბევრიც დავკარგე. 1951 წელს მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოეწყო. მონაწილეობა 16-17 წლის ბიჭებს შეეძლოთ. მე 15 წლისა ვიყავი, მაგრამ საქართველოს ნაკრების ხუთეულში ვთამაშობდი. რა არ ვცადეთ, მაგრამ მონაწილეობის ნება არ მომცეს. ჩვენი გუნდი კი ჩემპიონი გახდა. „დინამოშიც" ადრე, მე-10 კლასში ამიყვანეს. ახლაც მახსოვს ის დღე, ფორმა რომ მომცეს.

**— და უცბათ, მე-10 კლასელი ბიჭი აღმოჩნდით თქვენი კერპების — ქორქიასა და ჯორჯიკიას თანაგუნდელი...**

— იმ გრძნობის სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ჯერ წარმოიდგინეთ, რას ნიშნავდა ჩემთვის ჯორჯიკიას გვერდით თამაში. მით უმეტეს, მე მის ამპლუაში ვთამაშობდი. ოთარ ქორქია ხომ საერთოდ მოვლენა იყო — ეს კაცი საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდა. მსაჯებსაც იმდენად დიდი რიდი ჰქონდათ მისი, რომ დაჯარიმებას ძლივს უბედავდნენ. ამ ხალხთან ორი სეზონი ვითამაშე, ისინი მალე წავიდნენ კალათბურთიდან.

**— ასევე ძალიან ახალგაზრდა, 21 წლისა მოხვდით საბჭოთა კავშირის ნაკრებში. რატომ გაგიწიეს ამხელა ნდობა?**

— ეს უფრო „დინამოს" დამსახურება იყო. ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირში მოწინავე პოზიციებზე იყო. ნაკრებში უფრო ავანსად მოვხვდი. პირველ წლებში სათადარიგო ვიყავი. 1957 წელს, როცა ევროპის ჩემპიონები გავხდით, ძირითადი საქმე სხვებმა გააკეთეს, მე ეპიზოდურად შევდიოდი მოედანზე. ცოტა ხნის შემდეგ უკვე ხუთეულში ვიყავი.

საერთოდ, ჩემს სპორტულ ცხოვრებაში ბევრი იყო ბედნიერი დამთხვევები. ამას სპორტსმენთათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ახლა უკვე ხანშიშესული კაცი ვარ, რამდენი რამ მინახავს ჩემს ცხოვრებაშიც და სხვა სპორტსმენების ცხოვრებაშიც. თუ ხელისშემწყობი პირობები გაქვს, მაშინ იზრდები და იზრდები. თუ ღმერთი ნიჭს მოგცემს და, თან, „ბედიც კეთილგუნებიანია", ყველაფერი თავისთავად მოდის. პირველი — კარგი მწვრთნელების ხელში უნდა მოხვდე. მეორეც — ბედნიერი დამთხვევები. როცა მოვიდა იმის დრო, რომ „დინამოს" ხუთეულში უნდა მეთამაშა, იმხანად ნოდარ ჯორჯიკიამ კალათბურთიდან წასვლა გადაწყვიტა. ასე რომ არ ექნა, ბატონ ნოდარს კარგა ხანს ვერ გადავახტებოდი. ვიქნებოდი სათადარიგოთა სკამზე, იქ კი კაცი ვერაფრით გაიზრდება.

**— ესე იგი, თვლით, რომ თქვენი კარიერა იღბლიანად აეწყო...**

— ნამდვილად. მე ეგრე ვფიქრობ. მწვრთნელები დიდებული მყავდა — შალვა დიასამიძე, მიხეილ კეკელიძე, გიორგი ავალიწვილი, ოთარ ქორქია; ნაკრებში — ალექსანდრ გომელსკი. ამას დაუმატეთ ის ბედნიერი დამთხვევები, რაც ჩემს სპორტულ ცხოვრებაში მოხდა.

**— მიუხედავად ამისა, თქვენ ვერც ოლიმპიური და ვერც მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდით...**

— მართალია. თუმცა, მსოფლიოს ჩემპიონი კი გავხდი, მაგრამ არაოფიციალურად. 1959 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი ჩილეში გაიმართა. არ გვიშვებდნენ, რადგან ფინალურ ეტაპზე ტაივანიც მონაწილეობდა. მაშინ საბჭოთა კავშირს ჩინეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ტაივანთან კი ნებისმიერი საქმის დაჭერა, თანაც შეხვედრის გამართვა, ჩინეთის საწინააღმდეგოდ მიმართული აქციად ითვლებოდა. მაშინ ნაკრების მეორე მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი იყო. იგი მიდგა-მოდგა, უფროსობაში იჩალიჩა, საქმე ჩააწყო და ჩემპიონატზე იმ პირობით გაგვიშვეს, რომ ტაივანს არ შევხვდებოდით. ფიბას გენერალურმა მდივანმა ჯონსმა ხელი შეგვიწყო, სხვა ჯგუფში მოგვახვედრა. მოხდა სასწაული, ტაივანმა არგენტინის ძლიერ გუნდს ერთი ქულით მოუგო და ქვეჯგუფიდან გავიდა. შედგა რვაგუნდიანი ფინალური ჯგუფი, სადაც ასპარეზობა წრიულად გაიმართა. ჯონსმა აქაც მოინდომა და ჩვენი და ტაივანის შეხვედრა ბოლო დღისთვის დანიშნა. ჩვენ, პირველად კალათბურთის ისტორიაში, მოვუგეთ ამერიკას, მივაყოლეთ ბრაზილია და ბოლო თამაში დაგვრჩა. ისეთი სიტუაცია იყო, ტაივანთან 0:100 რომც წაგვეგო, მაინც მსოფლიოს ჩემპიონები ვიყავით, ოღონდ სათამაშოდ უნდა გავსულვიყავით. ჩილეში საბჭოთა კავშირის საელჩოდან დეპეშას დეპეშაზე ვაგზავნიდით სპორტკომიტეტში, თამაშის ნებას ვითხოვდით, კომიტეტი კი დუმდა. მოკლედ, ბრძანებას ვერ გადავახტით. შეჯიბრებიდან მოგვხსნეს და მე-7 ადგილზე გაგვიყვანეს. აი, ასეთი სისულელისთვის დავკარგე მსოფლიოს ჩემპიონობა, თანაც ჩინეთთან სულ ცოტა ხანში ურთიერთობა გაგვიფუჭდა.

1963 წელს, ბრაზილიაშიც უნდა მოგვეგო მსოფლიოს ჩემპიონატი. ნახევარფინალში წავაგეთ მასპინძლებთან. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი მსაჯების გამო მოხდა, ისინი ისე ეხმარებოდნენ მეტოქეებს, როგორც მასპინძლებს ეხმარებიან ხოლმე. თანაც გულშემატკივრობა იყო საოცარი, ზღვარსგადასული. მე ეგეთი არაფერი მინახავს. მაშხალებს ისროდნენ. ერთი მაშხალა გომელსკის თავში მოხვდა და ცალი წარბი დაუწვა. გახურების დროს მოთამაშეებსაც რამდენიმე მაშხალა გვესროლეს. ბრაზილიელებს ჰყავდათ შესანიშნავი მოთამაშე ამაური, რომელმაც მეათე წუთზე ხუთი პერსონალურით გამაგდო. ურუგვაელი მსაჯი, რომელიც ჩემი ნომრის გვერდით ცხოვრობდა, მერე სულ ბოდიშს მიხდიდა, მაგრამ საქმეს რა ეშველებოდა. ერთი სიტყვით, ჩემპიონი ბრაზილია გახდა.

**— რამდენჯერმე ალექსანდრ გომელსკი ახსენეთ. როგორი ურთიერთობა გქონდათ ამ კაცთან?**

— ძალიან კარგი. თუ ვინ არის გომელსკი და რა წონა აქვს საკალათბურთო სამყაროში, კარგად მოგეხსენებათ. ბევრს არაფერს ვიტყვი. სხვათა შორის, გომელსკის „ბრალია", რომ ჩემთვის მეორე, 1964 წლის ოლიმპიადაზე ვერ მოვხვდი. საქმე კი ასე იყო: ტოკიოს ოლიმპიადამდე სამი თვით ადრე ნაკრებს ჰქონდა ტურნე საფრანგეთსა და ფინეთში. მე ხუთეულში ვიყავი. ამბობენ, რომ იმ დროს მოსკოვში ებრაელების წინააღმდეგ რაღაც ჯგუფი მუშაობდაო. ერთხელაც გომელსკი მეტროს გაჩერებაზე იდგა. ის-ის იყო მატარებელი სადგურში შემოვიდა, რომ ვიღაცამ მას ხელი ჰკრა და ძირს ჩააგდო. გომელსკი მატარებელმა ათრია. როცა ამოყვანეს, გაირკვა, რომ ცოცხალია. გრძნობადაკარგულს ჯიბეები გაუსინჯეს და საბუთებთან ერთად დოლარები უპოვეს. ამაზე სასწრაფოდ შეუდგინეს საქმე და ნაკრების მწვრთნელობიდან მოხსნეს. დანიშნეს იური ოზეროვი... იგი ადრე ჩემი კონკურენტი იყო და დანასისხლად ვიყავით. იმ დროს იგი წარმავალი იყო, მე — მომავალი. მოკლედ, ვერ მიტანდა. საფრანგეთში წამიყვანა, ფინეთში - აღარ, ხუთეულის კაცი შემადგენლობის გარეთ დამტოვა. ოლიმპიადამდე ერთი თვით ადრე გომელსკი მწვრთნელად აღადგინეს, მაგრამ ნაკრებში ჩემი გამოძახება ვეღარ მოასწრო. ასე გამოვტოვე მეორე ოლიმპიადა. გომელსკისთან ახლაც კარგი ურთიერთობა მაქვს. მისგან დაჩაგვრის ელემენტი არასდროს მიგრძვნია.

**— გამიგონია, გომელსკის მწვრთნელობისას თქვენ ამერიკაში დარჩენა შემოგთავაზეს...**

— ჩემს კარიერაში იყო ორი პიკი, როცა სხვებზე უკეთ ვითამაშე. ერთი იყო მაირანოს თასი, მეორე — ამერიკის ტურნე. ეს 1959 წელს იყო, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. მაშინ პირველი საბჭოთა საკალათბურთო დელეგაცია ეწვია ამერიკას. ტურნე შედგა ხრუშჩოვის ამერიკაში ვიზიტის შემდეგ და ამიტომ ზღაპრულად მიგვიღეს. მაგალითად, ნიუ-იორკში ვცხოვრობდით „უორლდ ოფ ასტორიაში", იგივე სტუმროში, სადაც ხრუშჩოვი გაჩერდა. იქვე 25 ნოემბერს დიდი დაბადების დღე გადამიხადეს.

ჰოდა, ვთამაშობთ კლივლენდში. ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დამატებითი კი 10:9 მოვიგეთ — 10-დან 9 ქულა მე გავაკეთე. ამერიკელ სელექციონერებს რას მოატყუებ, ეტყობა, ტურნეს სხვა თამაშებიც ნანახი ჰქონდათ და ამ მატჩის შემდეგ გომელსკისთან მივიდნენ. უთხრეს, მინაშვილთან კონტრაქტის დადება გვინდაო. ფულზე ლაპარაკი არ იქნება, რასაც იტყვით, იმას გადაგიხდითო.

ნაკრებს მომაგრებული ჰყავდა თარჯიმანი, სახელად თომა. იგი „ფებეერ-ის" თანამშრომელი იყო. მას დავუმეგობრდი და აი რატომ. მოსკოვიდან ლექსიკონი წავიღე, ოღონდ სიჩქარეში ვიყიდე არა ინგლისურ-რუსული, რომელიც მჭირდებოდა, არამედ რუსულ-ინგლისური, ოღონდ კარგი გამოცემა და სიტყვების დიდი რაოდენობით. თომამ ეს ლექსიკონი რომ ნახა, თანაგუნდელი ბოჩკარიოვი მომიგზავნა და მთხოვა, წიგნი მომყიდეო. მე ვუთხარი, წიგნის მოყიდვა რა წესია, თუ გინდა, გაჩუქებ-მეთქი. ეს ამბავი გაუხარდა, ხოლო ის, რომ ამერიკელებმა დარჩენა შემომთავაზეს, ცხადია, პირველმა გაიგო.

გომელსკიმ ამერიკელებს უთხრა, ეგეთი რამე ჩვენს პრაქტიკაში არ ხდება, ჩავალთ მოსკოვში და სპორტკომიტეტთან ერთად გადავწყვიტოთო. მე კი მკითხა, თუ დარჩებიო? მივუგე, რატომ არა-მეთქი. მაშინ საშამ მითხრა: გურამ, ამაზე არ იფიქრო. ხომ იცი, ეს შეუძლებელიაო. ამ დროს თომა გამომეცხადა და მეუბნება: ვიცი, წინადადება მოგცეს, შენ თუ დარჩენას გადაწყვეტ, ყველაფერში ხელს შეგიწყობო. ახლავე დარჩი, კაცი გახდებიო. შესაძლოა, მართლაც გამმართლებოდა, მაგრამ, არ დაგავიწყდეთ, ეს იყო 1959 წელს. რომ დავრჩენილიყავი, ჩემს მშობლებსა და ნათესავებს კი არა, ვინც კი გამკარებია, ყველას და იჭერდნენ.

**— მაირანოს თასი ახსენეთ — რა შეჯიბრება იყო ეს?**

— მაირანო იყო იტალიის კალათბურთის ფედერაციის გარდაცვლილი პრეზიდენტი. ყოველი ევროპის ჩემპიონატის შემდეგ საპრიზო სამეულს ემატებოდა იტალიის ნაკრები და ბოლონიაში ამ თასისთვის თამაშობდნენ. 1958 წელს ტურნირის საუკეთესო მოთამაშე გავხდი.

**— თქვენს შესახებ ისიც გამიგონია, რომ სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრეთ, ინსტიტუტშიც ფრიადოსანი იყავით. როგორ ახერხებდით ამას?**

— ჩვენი თაობის მოსწავლეები და სტუდენტები გაცილებით უკეთ ვსწავლობდით, ვიდრე დღევანდელები. ამში ეჭვი არ მეპარება, რადგან დღესაც სტუდენტებთან ვტრიალებ. ჩემს ჯგუფში 25 კაციდან 17 ფრიადოსანი იყო. ხუთი ჩვენგანი დღეს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა კათედრის გამგეები ვართ. როცა ვიღაც ჩემს გვერდით კარგად სწავლობდა, მეც იძულებული ვიყავი იგივე გამეკეთებინა. ძნელია სწავლა და დიდი სპორტი ერთად. ხანდახან ისე ხარ გამოფიტული, რომ ფორმულების დასწავლის კი არა, გასართობი წიგნის წაკითხვის თავიც კი არა გაქვს. ბოლოს მიჭირდა თავისთვის ძალის დატანება, მაგრამ მუქთი ნიშნის მიღებაც მეთაკილებოდა. მოკლედ, სწავლის ბოლო წლებში სულ ასეთ წინააღმდეგობებში ვიყავი.

**— ბატონო გურამ, თქვენ კალათბურთს თავი ადრე დაანებეთ. რა იყო ამის მიზეზი?**

— უპირველესად ის, რომ ყველაფერი მომბეზრდა, ყველაფრისგან დავიღალე და კალათბურთი სიამოვნებას აღარ მანიჭებდა. ვარჯიში ძალდატანებად მექცა. თამაში კი შემეძლო მთელი ძალით, ვარჯიში — არა. ბოლოს მივიდოდი ვარჯიშზე და ადრე დავამთავრებდი. შემომხედავდნენ ახალგაზრდები და ისინიც ჩერდებოდნენ. ვეუბნებოდი, მე რას მიყურებთ, წადით, ივარჯიშეთ-მეთქი. შევატყვე, რომ ცუდი მაგალითი ვიყავი. ვიფიქრე, ჯობს საერთოდ არ ვიყო, ესენი უკეთ ითამაშებენ-მეთქი და წავედი.

**— კარიერის დამთავრებიდან მწვრთნელობას 25 წლის შემდეგ მოჰკიდეთ ხელი. თქვენი გამოცდილების კაცი ამდენ ხანს უქმად როგორ უნდა ყოფილიყო?**

— ვინაიდან ნერვიული მოთამაშე ვიყავი, ვფიქრობდი, ჩემგან კარგი მწვრთნელი არ გამოვიდოდა. ერთი შეხედვით, ეს საქმე უნდა გამომსვლოდა, რადგან მოედანზე გამთამაშებელი ვიყავიდა თამაში მიმყავდა. მაგრამ მოედანზე ყოფნაერთია და სკამიდან ხელმძღვანელობა — მეორე. მწვრთნელობა არც მაშინ მიტაცებდა და არც ახლა მიტაცებს. ვერ ვაკეთებინებ მოთამაშეს იმას, რაც მინდა და რასაც ვგრძნობ, რომ შეუძლია გააკეთოს.ვერც ვერაფრით ვეხმარები. ასე რომ, არც მიცდია, მწვრთნელი გავმხდარიყავი. მიუხედავად იმისა, რომ კარიერის დამთავრებისთანავე დიდი დაწოლა მქონდა „დინამოს" ხელმძღვანელობისაგან — რამდენჯერმე კაცი გამომიგზავნეს და „დინამო" აიყვანეო — მეუბნებოდნენ — არ მინდოდა და არ გავაკეთე.

**— თქვენი კარიერიდან გამომდინარე, არ ნანობთ, რომ ცოტა ადრე დაიბადეთ და დღეს არ გიწევთ თამაში?**

— ვნანობ, რა თქმა უნდა. ჩემი ფიზიკური მონაცემებით დროს ცოტათი გავუსწარი. მაგალითსაც მოგიყვანთ. 1959 წელს ჩილეში ჩვენს ვარჯიშზე კანადის ნაკრები მოვიდა. რაღაცას ჩოჩქოლებდნენ და მიდი-მოდიოდნენ. ჩემთან გუნდის ექიმი მოვიდა და მითხრა, კანადელები დანიძლავდნენ, ნახევარ გუნდს სჯერა, რომ ბურთს ჩატენი, ნახევარს — არაო. თუ შეგიძლია უჩვენე, რა შეგიძლიაო. ავიღე ბურთი და ჩავტენე. ამით იმი თქმა მინდა, რომ კანადელებს გაუკვირდათ, 186-სანტიმეტრიან კაცი ბურთს როგორ ტენისო. დღეს კი რა ხდება? 164 სანტიმეტრიანი ვები აკეთებს იგივეს. ახლა ვფიქრობ, დღეს რომ მეთამაშა, რაღაც გამომივიდოდა. მთავარია, ფიზიკურად არ დავჩაგრულიყავი, თორემ ტექნიკურ-ტაქტიკურად ბევრს ვაჯობებდი. ისე, რა თქმა უნდა სჯობდა, ცოტა გვიან დავბადებულიყავი, ყოველ შემთხვევაში, დღეს NBA-ში დარჩენაზე უარს აღარ ვიტყოდი.

მერაბ რატიშვილი



1963 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი. სსრკ ნაკრების ხუთეული: ალექსანდრ პეტროვი (12), გურამ მინაშვილი (4), იურის კალნინში (5), იური კორნეევი (11), გენადი ვოლნოვი (12)

ფოტო თენგიზ მაჩალაძის არქივიდან



1962 წელი. თბილისის აეროპორტი. ლევან მოსეშვილი და გურამ მინაშვილი ევროპის ჩემპიონთა თასით

ფოტო ვოვა ივანოვის არქივიდან

## შემოშველებული სიტყვა

# ტაისონის ნაქცევის ერთი გზა

შენ, მსოფლიო კრივის ჩემპიონობაზე მეოცნებე ქართველო ჭაბუკო, დიახაც დაგჭირდება მაიკ ტაისონთან შეხვედრა. ვერ ასცდები ამ შერკინებას და ამიტომ, ფუთაში გამოკრული სიკტივკარის ქარხნის ხელთათმანებით რომ ჩახვალ ამერიკაში, დაფიქრდი, ვისთან საჩხუბრად მისულხარ დიდ ქალაქში.

კი, გახსოვს, რომ ის კაცი, კრივის გაუცინარი ხელმწიფე, ნახევარი წლის წინ გამოუშვეს ინდიანას ციხიდან. ბეჭზედ მაო ძე დუნი ახატია, თათრულ წესზე აბდულ-აზიზი ჰქვია და გარაჟში ექვსი ლიმუზინი უყენია. მაგრამ ამას ჩხუბისთვის დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს. არ იფიქრო ამაზე.

გასულ კვირას თუ უყურე ტელევიზორს? გაშხლართულ ბასტერ მათიას უმცროსს დაინახავდი. ტაისონმა წააქცია. იმაზე უარესი დღე დააყენა, რაც მამამისს მათიას უფროსს მუჰამედ ალიმ (ეს იყო ოცზე მეტი წლის წინ). მამა ბასტერმა ვერ უყურა შვილის გალახვას, უკვე გარდაცვლილია.

ასეთ რამეებზე თუ იფიქრე, ამერიკაში წასვლას აზრი არა აქვს.

მერე კრივის მეისტორიეთა ნათქვამი გაგახსენდება. რით არის მაგარი ტაისონი?

ვითომ არაფრით — ჩხუბის მანერა არცთუ მიმზიდველი აქვს, ფეხები წვრილი, რინგზე ცეკვა არ ეხერხება. ეს არის და გაიფიქრებ, ჭაბუკო, სიკტივკარული ხელთათმანის მორგების დრო მოვიდაო, მაგრამ მეისტორიენი შეგაჩერებენ. ტაისონისთანა დარტყმა, მისნაირი ჯები და დაცვა დღეს არავის მოეძებნება.

ამიტომ, ამაზე ფიქრიც ზედმეტია. ასე ვერ მოუგებ ტაისონს.

შენ გადაწყვეტ, რომ ჯები გამოიკეთო, რათა ხელი შეუბრუნო ქრივოხერთა ამ ნაშიერს. წასავარჯიშებლად ფილადელფიას ამოირჩევ. იქაური სკოლა, განთქმულიო თავისი რომანტიზმით, ჩვენს სულს ეხმიანება. ჯო ფრეზერიც, თავისი განუმეორებელი მფრინავი ცაცია მუშტით, ამ ქალაქიდან იყო. ივარჯიშებ, მაგრამ ისეთი რა დარტყმა უნდა დაიყენო რომ ტაისონს აჯობო? თანაც, სავარჯიშო დარბაზში შესულს სულ ზანგის ბიჭები დაგიხვდებიან და ეჭვი შეგეპარება, მე, თეთრ კაცს, მძიმე წონაში რა მესაქმება.

ეს ფიქრიც უსარგებლოა. ფილადელფიაში ვარჯიში, მაიკ მაღელს არ ეყოფა.

თუმცა, არის კიდევ ერთი გამოსავალი. თუ მაინცდამაინც კარგად ივარჯიშებ და იმედი გაქვს, რომ ბეყეირათ მაკნილის დარად რინგზე ტყუილად არ გამოხვედი, ეცადე ჩხუბი კალიფორნიაში დაანიშნინო. არა ვეგასის „სიზორ პალასში“, ან „მედისონში“, არამედ სწორედ კალიფორნიაში. რატომ? იმიტომ რომ, თუ გრძნობ, რომ ნოკაუტში არ ჩავარდები, კალიფორნია სჯობს. აქ ისეთი კანონია, რომ ათ რაუნდზე მეტს არ გაჩხუბებენ და რაც უფრო ცოტა ხანს იქნები რინგზე, უკეთესია. ნაკლებ ჯანს წაილებს. თუმცა, გაძლებ კი ათ რაუნდს? ეს ფიქრიც არ არის გამარჯვების გასაღები. აქდენი შავი აზრი რომ შემოგაწვება, იმასაც გაიხსენებ, რომ თეთრი პრეტენდენტები ათჯერ შესვედრიან შავ ჩემპიონებს და სულ პირშავად დარჩენილად. ამიტომ, სიკტივკარულ ხელთათმანს, ქალაქური მოქცევა ამჯობინე:

თუ მაინცდამაინც ტაისონის მორევა გინდა და არა ჩემპიონობა, რინგზედ აგური შეიტანე და ამ გულღრძო მაიკს დასცხე თავში. დიდ მოკრივესაც მოერევი, მსოფლიოც გაგიცნობს. ერთი სირთულეა, რომ ტაისონიც ძველი ბ...ჭი ყოფილა ოდესღაც, მაგრამ იმათი ძველბიჭობა და ჩვენი ერთია?

სხვაფრივ გამარჯვება არ გამ...ვა, ჯერჯერობით მაინც. თუ არ გჯერათ გაზაფხულამდე მოიცადეთ და ფრენკ ბრუნოს დაეკითხეთ.

ტაისონი ტყუილად როდი ტრაბახობს ეს ბოლო დღეებია.

**P.S.** არის ერთი ბიჭი — რიდიკ ბოუ ჰქვია. შუბლზე დიდი ნაოჭი და მთვლემარე თვალები აქვს. თუ ვინმემ გაუბედა უაგუროდ მისვლა, ეს გაუბედავსო, აგრე ამბობენ.

ბოგი ახვლედიანი,
მესვეტი

---

## ჩოგბურთი

# რჩეულნი და ხელმოცარულნი



შტეფი გრაფი



პიტ სამპრასი

გუშინწინ ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (იტფ) ლონდონში გამოაქვეყნა წლევანდელ „მსოფლიო ჩემპიონთა ვინაობა.

ვაჟთა ტიტული სულ მეხუთედ, ზედიზედ კი მესამედ ერგო ამერიკელ პიტ სამპრასს. წელს მან მოიგო დიდი სლემის ორი შეჯიბრი — უიმბლდონი და აშშ-ის პირველობა, ავსტრალიის პირველობაზეც ფინალში გავიდა; გარდა ამისა, გაიმარჯვა კიდევ სამ ტურნირში, დევისის თასზე აშშ-ის გამარჯვებაში კი ლომის წილი დაიდო.

ფედერაციის რჩეული ქალი გერმანელი შტეფი გრაფია. ბოლო 9 სეზონში შტეფი მეექვსედ სცნეს საუკეთესოდ. წელს იგი დიდი სლემის სამ შეჯიბრში ჩაება და სამივეც მოიგო — საფრანგეთში, უიმბლდონსა და აშშ-ში. გრაფმა წლის დამლევს ქალთა ასოციაციის ტურის ჩემპიონატშიც ყველას აჯობა, წლის მანძილზე კი ორადორჯერ დამარცხდა..

ფედერაციას არც ხეიბარი ჩოგბურთელები დავიწყნია. ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულთა კატეგორიაში საუკეთესო ვაჟ მოთამაშედ პირველად სცნეს ავსტრალიელი დევიდ ჰოლი, ქალთა კონკურსში კი ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა ჰოლანდიელმა მონიკ კალკმენმა.

ორშაბათს 29 წლის შვედმა სტეფან ედბერგმა განაცხადა, რომ 1996 წლის დამლევს საშეჯიბრებო ჩოგბურთს თავს დაანებებს.

ედბერგს მოგებული აქვს დიდი სლემის ექვსი შეჯიბრი: ავსტრალიაში (1985, 1987), უიმბლდონში (1988, 1990) და აშშ-ში (1991,1992); შვედეთის ნაკრების სახელით ექვსჯერ უთამაშნია და ოთხჯერ (1984,1985,1987,1994) გაუმარჯვნია დევისის თასის ფინალში; მსოფლიო კლასიფიკაციაში 72 კვირის მანძილზე სჭერია პირველი სტრიქონი, მაგრამ რაკი ახლა 23-ე ადგილამდე ჩამოქვეითებულა, თამაშისთვის თავის მინებება გადაუწყვეტია.



ედბერგი გაისად დაგვეთხოვება

მიხო ნინუა

---

## რაგბი

# სელა და გალაჰერი





სამშაბათს დიდი რაგბიდან წასვლა გამოაცხადა საფრანგეთის ნაკრებისა და „აჟენის“ შუამარბმა, 33 წლის ფილიპ სელამ.

სელა მსოფლიოს რეკორდსმენია ნაკრებში თამაშის სიმრავლით — „მამლის“ 111 კეპი მოუხვეჭია. პირველი 1982 წლის 1 ნოემბერს ბუქარესტში რუმინეთთან წაგებისათვის ერგო, მეასე — შარშან, 26 ივნისს, ქრაისთჩერჩში ზელანდიასთან მოგებისათვის, ბოლო კი — წელს, 22 ივნისს, პრეტორიაში მსოფლიო თასზე, მესამე ადგილის მოსაპოვებელ თამაშში ინგლისის ძლევის გამო.

ნაკრებიდან წასვლის მიუხედავად სელა „აჟონში“ სეზონს მაინც ჩაათავებს. მას იშვიათი მიღწევა ეკუთვნის — 1986 წლის ხუთი ერის პირველობის ოთხივე მატჩში გაიტანა ლელო.

თუ სელა მიდის, 31 წლის ჯონ გალაჰერი, პირიქით, ბრუნდება და კაცმა არ იცის, შემდეგს რას მოიმოქმედებს.

გალაჰერი ლონდონელი პოლიციელის ირლანდიურ ოჯახში აღიზარდა და რაგბსაც ინგლისში ეზიარა, მაგრამ 19 წლისამ გუდა-ნაბადი აიკრა და რაგბში განსასწავლად ზელანდიას გადასახლდა. იქ ჯონმა მალე დიდ წარმატებას მიაღწია — ველინგთონში მოეწყო, 1987-89 წლებში კი „ოლ ბლექსის“ მცველად 18 კეპი მოიხვეჭა. გალაჰერი მსოფლიოს ჩემპიონი და იმ ხანის უძლიერესი 15 ნომერი იყო.

1990 წელს ჯონმა უგანა რაგბსაცა და ზელანდიასაც და სარეკორდო თანხად შეეკრა ბრიტანეთის ლიგის ბობოლა „ლიდსს“, მაგრამ ცამეტკაციან თამაშში რომ ვერ ივარგა, მამისეულ კერას მიუბრუნდა და მეორე ლიგის „ლონდონელ ჯვაროსნებში“ ჩაეწერა, მერე კი ლიგას საერთოდ მიანება თავი და რაკი იმდროინდელი კანონებით სამი წლით ეკრძალებოდა რაგბის თამაში, რაგბის მწვრთნელობას მოჰკიდა ხელი.

ამ შემოდგომაზე კანონი შეიცვალა. ყოფილ ლიგოსნებს ყადაღა ახსნეს და გალაჰერიც რაგბს მოთამაშედ დაუბრუნდა. ზელანდიისკენ გახედვა ჯონს არც უფიქრია, ლონდონის „ჰარლიქვინზე“ და ინგლისის ნაკრებში ვილ ქარლინგის მხარდამხარ სურს თურმე თამაში, მაგრამ ინგლისის რაგბის მმართველი „ბებერი მუცლის ქარები“ თურმე მაგრადა დგანან: შეწყალებულ ლიგოსნებს ახლოსაც არ აკარებენ ქვეყნის ჩემპიონატსა და ნაკრებს!

გალაჰერსაც რა დარჩენია, ჯერჯერობით ამხანაგურ საკლუბო მატჩებს სჯერდება. ჯონმა 9 დეკემბერს „ჰარლიქვინზის“ (ჯამბაზების) მცველად ითამაშა ლონდონისავე „როსლინ პარკის“ წინააღმდეგ. „ჯამბაზებმა“ კარგად იბურთავეს და 74:22 გაიმარჯვეს. გალაჰერმა 6 გარდასახვითა და ლელოთი 17 ქულა მოაგროვა და თამაშის შემდეგ მშვენიერ გუნებაზეც ბრძანდებოდა, რაკი ექვსწლიანი აკრძალვის შემდეგ კვლავ ეღირსა რაგბის თამაში.

ინგლისელი რაგბის მამების სიჯიუტე რომ შეიტყვეს, გალაჰერს უმალ შეეხმიანნენ ირლანდიელები, რომლებსაც ჯონის რანგის მცველი საერთოდ არა ჰყავთ. რაკი ჯონის მშობლები ირლანდიელები არიან, სხვა ქვეყნის ნაკრებში კი გალაჰერს სამ წელზე მეტია, რაც აღარ უთამაშია, „სამყურებს“ მისი აყვანა შეუძლიათ. მეტიც, ირლანდიურ კლუბ „გარიოუენსაც“ სურვებია გალაჰერის „ჰარლიქვინზიდან“ გადაბირება და ქვეყნის ჩემპიონატში ჩაბმა. ამის გამო ლონდონელთა მწვრთნელ დიკ ბესტს უთქვამს, არ გამიკვირდება თუ ჯონ გალაჰერს ირლანდიის ნაკრების მცველად ვიხილავთ, ეს გუნდი 2 მარტს თვიქნემს რომ ეწვევა ინგლისთან სათამაშოდ.

---

## მოხულიგნო კარაბინერი



ერთი კვირა არცა..., რაც „ლა ბომბად“ ცნობილი იტალიელი სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბა 29 წლისა მოიყარა, დაბადების დღეს ალტა-ბადიაში მსოფლიო თასის ერთს რიგითს ეტაპზე მესამე ადგილიც დაიჭირა, მაგრამ დიდ შარშიც გაეხვია: რომ აჯილდოებდნენ, ტომბამ შენიშნა მეტიჩარა ფოტოგრაფი, გვარად მარტინუცი, ვისაც ტიტლიკანა „ლა ბომბასათვის“ იდუმლად გადაეღო სურათები და მავან პიკანტურ ჟურნალში გამოექვეყნებინა. სამთომოთხილამურე ისე გახელდა, რომ „სკურანტის“ (ღვინოა) მაგნუმი (ჩვენებურად, კვარტიანი ბოთლი) მარტინუცის თავში დაჰკრა და თასიც მოისროლა. ამგვარი უგვანო ქცევისათვის ალბერტოს მკაცრად მოჰკითხა უფროსობამ — ცნობილი სამთომოთხილამურე იტალიის გასამხედროებული პოლიციის, ე.წ.კარაბინერების სერჟანტი ყოფილა. ახლა ტომბას ან ჩამოაქვეითებენ, ანაც სულ დაითხოვენ, მით უფრო, რომ ორი დღის შემდეგ მადონადი-კამპილიოში კარიერის 30-ე გიგანტური სლალომი რომ მოიგო, თავის ქომაგებს მოუბოდიშა, ... ავკატეხილი მარტინუცი კი კვლავაც ა...ო მოიხსენია.

ემზარ არაბ შვილი

---

## კარტერი დიდი დიპლომატია

Atlanta 1996

ატლანტაში ასპროცენტიანი დასწრებაა მოსალოდნელი. ორშაბათს, როგორც იქნა, შინაომებით მოცულმა ავღანეთმაც მიაწვდინა ხმა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ლოზანურ ბინას და საიუბილეო ოლიმპიადის 196-ე მონაწილე შეიქნა. ამის შემდეგ დარჩა ერთადერთი გაურჩებული — კომუნისტური ჩრდილოეთი კორეა, სადაც წყალდიდობის გამო საშინელ შიმშილს დაუსადგურებია, ხელისუფლება კი თურმე არმიას ამრავლებს და აიარაღებს, კაპიტალისტურ სამხრეთს რომ შეუსიოს.

გუშინწინ კორეელთა დაყოლიებასაც კარგი პირი გამოუჩნდა. სოკ-ისა და მათი შუაკაცობა იკისრა აშშ-ის პრეზიდენტყოფილმა ჯიმი კარტერმა, ვისაც საძაგელ რეჟიმებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს. კარტერი თურმე იქადნება, კორეელთა „შეკერვა“ ტექნიკის საქმეა, მთავარია სოკ-მა მომცეს იმის გარანტია, რომ თუმც განაცხადის ბოლო ვადა — 15 ნოემბერი კარგა ხანია გავიდა, კორეას მაინც დაუშვებს ატლანტაშიო. სოკ-ი ამაზეც ყაბულს ყოფილა.

ჩრდილოეთ კორეა 1988 წელს სეულის თამაშებში არ მონაწილეობდა. ოთხი წლის შემდეგ, ბარსელონაში, კომუნისტებმა მიავლინეს გუნდი, მაგრამ 1993 წლიდან შანხაიში აღმ. აზიის თამაშებში რომ იასპარეზეს, თანდათან განუდგნენ დანარჩენ სპორტულ სამყაროს.

---

## აქეთური, იქითური

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯეფ ტარანგომ, წელს უიმბლდონში ფრანგ მსაჯს საჯაროდ რომ აგინა და კორტიდან გაიქცა, ახლა ბოდიში მოუხადა ორგანიზატორებს, ეგებ მაპატიოთ და საგაისო შეჯიბრებაზე მაინც დამრთოთო.

*

მაიკლ ჯორდანის ხელი ერთობ დაეტყო „ჩიკაგო ბულზს“. ორშაბათს „ხარებმა“ ზედიზედ მეათე თამაშში მრიგის — 128:114 დაამარცხეს „ბოსტონ სელტიქსი“. ჯორდანმა და სკოტი პიპენმა ამ დღეს 37-37 ქულა მოაგროვეს.

*

სამხრეთ აფრიკაში, კრიკეტის საშინაო ჩემპიონატში — „კასელის თასზე“ ტრანსვაალს ჩამოაკლეს 4 ქულა და 10 ათასი რანდითაც დააჯარიმეს. დასჯილებს თურმე განგებ წაუმურდლავთ „ვონდერერზის“ სტადიონის ზოლი, ჩრდ. ტრანსვაალთან მატჩი შედეგიანად რომ დამთავრდესო. მართლაც, პირველ დღეს 21 ბჯე დაილეწა, მეორე დღეს — დანარჩენი 19-ც, ოთხდღიანი თამაშიც ორ დღეში ჩამთავრდა, მაგრამ მისი შედეგი სავალალო აღმოჩნდა ტრანსვაალისათვის — სტუმრებმა 109 გარბენით გაიმარჯვეს.

*

იტალიის ველოტური „ჯირო“ გაისად პირველად მოიცავს საბერძნეთსაც. 18 მაისს ათენის ოლიმპიურ სტადიონზე პირველი ეტაპის სტარტი გაიმართება. ელადის გარდა ტური შეუხვევს შვეიცარიასა და საფრანგეთშიც.

*

ბრიტანელი ავტომრბოლი ჯონი ჰერბერტი „ბენეტონიდან“ გადავიდა „ზაუბერში“, სადაც გერმანელი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენის მხარდამხარ იასპარეზებს ფორმულა-1-ის საგაისო ჩემპიონატში.

*

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ „ტოიოტას“ გაუმკაცრა სასჯელი — ეს გუნდი ორი წელი ვერ იასპარეზებს ავტორალის მსოფლიო ჩემპიონატში. მიზეზი ერთობ შენიღბული და კადნიერი ტექნიკური ყალთაბანდობა ყოფილა.

*

საბჭოთა მოკრივე კოსტია ცზიუ 1991 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის შემდეგ სიდნეიში დარჩა და პროფესიულ კრივს მიჰყო ხელი, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა, მაგრამ ფეხბურთელთა კვლით შეშინებულმა რომ იუარა კოლუმბიაში შერკინება იქაურ უგო პანედასთან, კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (იბფ) ტიტული ჩამოართვა. მაშინ ცზიუმ იჩივლა და სასამართლომაც გააუქმა იბფ-ის განაჩენი: საჩემპიონო შერკინება 20 იანვრისთვის დანიშნა სიდნეის დასავლეთ გარეუბან პარამატას საბურთაო სტადიონზე.

*

„ტურ-დე-ფრანსის“ ზედიზედ ხუთგზის გამარჯვებული, ესპანელი ველომრბოლი მიგელ ინდურაინი სოკ-მა დააჯილდოვა ოლიმპიური ორდენით. „დიდ მიგს“ ეს საპატიო ჯილდო გუშინწინ თვით სამარანჩმა გადასცა. ატლანტაში ინდურაინი პირველად იასპარეზებს ოლიმპიადაზე, რადგანაც აქამდე პროფესიონალებს თამაშებში მონაწილეობა ეკრძალებოდათ.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარნ...“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29